# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 19 მაისი. 2023 წ. №56 (9588) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


ვაი, ჩვენს პატრონს!!!

# რატომ ზაფრავს „ოცნებას“ პრეზიდენტი?!



პრეზიდენტის განცხადებები, რომელიც გააკეთა პარლამენტში. დამეთანხმებით, რომ ეს განცხადებები ეწინააღმდეგება საქართველოს სურვილს, მიიღოს კანდიდატის სტატუსი დეკემბერში. მთავრობას შეიძლება, არ გაუცია თანხმობა და შეიძლება გასცეს, არ ვიცი, ეს მისი პრეროგატივაა, მაგრამ ჩემთვის ლოგიკური იქნება, თუ მთავრობას ეშინია პრეზიდენტის განცხადებების...

ეშინია პირობითი სიტყვაა, რადგან მისი დამაზიანებელი განცხადებები მოვისმინეთ. პრეზიდენტი როცა აცხადებს, რომ პარლამენტი ფორმალურად ასრულებს რეკომენდაციებს და სინამდვილეში სტატუსისთვის არ დგამს ნაბიჯებს, ეს დამაზიანებელია. რა თქმა უნდა, უმჯობესია, პრეზიდენტს არ ჰქონდეს ფართო ასპარეზი ასეთი დამაზიანებელი განცხადებებისთვის, რათა არ დაზიანდეს კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესი.

**ირაკლი კობახიძე**

...ძალიან სამწუხაროა, როცა პრეზიდენტი ასე სპეკულირებს. დასანანია ეს ყველაფერი. რაც შეეხება 31 მაისის ვიზიტზე თანხმობის გაცემას, ეს არის საქართველოს მთავრობის ექსკლუზიური უფლება. თუ მთავრობას მიაჩნია, რომ პრეზიდენტის ვიზიტი არ წაადგება საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებას, ამ შემთხვევაში, მთავრობას კონსტიტუციით მინიჭებული სრული უფლება აქვს, პრეზიდენტს ვიზიტზე თანხმობა არ მისცეს. ჩვენ გვეშინია, რომ პრეზიდენტის ვიზიტი და მისი განცხადებები დააზიანებს ჩვენს სწრაფვას კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის. თქვენ მოისმინეთ



# მამუკა მდინარაძე ხოშტარიას „ჭრიალზე“!

...ორმაგი სტანდარტის კლასიკური გამოვლინება რუსეთის საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ. 2011 წლის ვიდეო, რომელიც გავრცელდა ინტერნეტ სივრცეში, ამის კიდევ ერთი გამოვლინებაა. ეს ადამიანი, რომელმაც ისწავლა, მისი თქმით, მტრის ბანაკში და მხოლოდ იმიტომ იყო, რომ მტრის საქმიანობასა და მეთოდებს გასცნობოდა, ამასობაში ამოუვარდა ვიდეო, რომ თურმე 2011 წელს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე საუბრობდა, რომ რუსეთთან არაფერი აქვს საწინააღმდეგო, სავაჭრო ურთიერთობები კიდევ გაზრდილია, ამით ამაყობდა. დღეს კი, თურმე „აჟრიალებს“ მას და მის თანაგუნდელებს ყველაფერი რუსულზე. ეს არის ფარისევლობა, ტყუილი, რომელ ტყუილშიც ცდილობენ, გვაცხოვრონ...

## „პატრიოტთა ალიანსი“ ჩამშვებ (აგენტ) თანამდებობის პირთა ტესტირებას მოითხოვს!

4

## ვახტანგ ძაბირაძე: სალომე არ არის ჩვენი პრეზიდენტი, უმრავლესობის აზრს არ იზიარებს და დასავლეთის ეშინია!..

3

ნიკა მაჭუტაძე:

## როსტომ ჩხეიძე, ნატო ჩხეიძე და მე ვტოვებთ ფრაქციას სახელწოდებით – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“



იხ. 3 გვ.



4

ედიშერ გვენეტაძე:

## რატომ არავინ ითხოვს ქართული ჯარის ძარცვის საქმეზე გამოძიებას?

7

## ცბიერი ფანდი საქართველოსთვის: სოხუმი და ცხინვალი – დამოუკიდებლობის ფასად?

ფაქტები საქართველოს ახლო წარსულიდან



იხ. 6 გვ.

## როგორ იყენებს რუსეთი ვიზებს, მიმოსვლას, ვაჭრობას ბერკეტად...

# „ვერთიანდებით ევროპისთვის“!



## საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა ევროპის საბჭოს სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების სამიტზე ისლანდიაში

ძვირფასო კეტრინ, კოლეგებო, მეგობრებო!

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის პატივია ევროსაბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-4 სამიტში მონაწილეობა.

მადლობა მინდა გადავუხადო მასპინძელ ქვეყანას ჩვენი მიღებისა და ამ ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიების შესანიშნავი ორგანიზებისთვის.

საუბარი მინდა დავიწყო იმის ხაზგასმით, რომ საქართველომ გააზრებულად იკისრა ვალდებულება დემოკრატიის ფუნდამენტური უფლებების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაზე, რაც გაწერილია ევროკავშირის წესდებაში და კონვენციაში ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ.

დღეს ევროპა იმყოფება ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში, რაც გამოწვეულია უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიით, რითაც ირღვევა გაეროს წესდების, ჰელსინკის დეკლარაციისა და ევროსაბჭოს წესდების ფუნდამენტური ნორმები და პრინციპები.

საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, რაც მომდინარეობს 2008 წელს რუსეთის აგრესიის შედეგად მიღებული გამოცდილებიდან, როდესაც რუსეთი აწარმოებდა სრულმასშტაბიან ომს ჩვენთან. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენმა ქვეყანამ ამ ომის შედეგად დიდი დანაკლისი განიცადა და ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი კვლავ ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

ამიტომ, ჩვენ, ქართველებმა, ძალიან კარგად ვიცით ომის ფასი და მშვიდობის ფასიც.

დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ რამდენიმე ომი გამოვიარეთ. კარგად ვაცნობიერებთ, რა მოაქვს ომს და ყველაფერს ვაკეთებთ მშვიდობისთვის.

დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ, ისტორიაში პირველად, ჩვენი მთავრობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, უზრუნველვყავით ხანგრძლივი და უწყვეტი მშვიდობა საქართველოში.

აშკარაა, რომ მსოფლიო წესრიგი იცვლება და სამყარო ვეღარ იქნება იგივე. ვერავინ იპოვის გამოსავალს მარტო დგომით ამ რთული ვითარებიდან. ამიტომ გვჭირდება ერთობა და გლობალური კონსოლიდაცია ახალი, სამართლიანი წესრიგისთვის.

მხოლოდ ერთად დგომით შევძლებთ ამ მიზნის მიღწევას. ძვირფასო მეგობრებო, ბოლო წლებში მსოფლიოს ირგვლივ დემოკრატიებმა გამოსცადეს მრავალი გამოწვევა, რითიც გამოცდის ჩაბარება მოუწიათ მათ საფუძვლებს.

ამ გამოწვევების მიუხედავად, საქართველოში დემოკრატია ძლიერი და მედეგია. ჩვენი მთავრობა ერთგულია იმ ღირებულებებისადმი, რაც მას უდევს საფუძვლად, მათ შორის, თავისუფლება, თანასწორობა და კანონის უზენაესობა.

ჩემს მთავრობას აქვს ხედვა, რომელიც გულისხმობს ძლიერ ქვეყანას, რომელიც ერთგულია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისადმი. ეს ასახულია ჩვენს მრავალგანზომილებიან მიდგომაში, რაც გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას, რაც აუცილებელია დემოკრატიისთვის: სასამართლო და საარჩევნო სისტემები, დამოუკიდებელი მედია, ადამიანის უფლებების დაცვა, სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, პროგნოზირებადობის დამკვიდრება ქართველი ხალხის სასიკეთოდ.

2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ჩვენი მთავრობა ქმედით და ეფექტიან პოლიტიკას ახორციელებს, განამტკიცებს ხედვას და დინამიკურ მოქმედებებს ახორციელებს.

სასამართლო და საარჩევნო სისტემების რეფორმა, მედიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა საქართველოს განვითარების დღის წესრიგის ძირეული ელემენტებია.

სასამართლო სისტემაში გატარებული რეფორმის 4 ტალღის შედეგად და საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით, ასევე მედიის შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში იქმნება მყარი საფუძველი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, ასევე მედიისა და თავისუფალი გამოხატვის უფლებების უზრუნველსაყოფად.

დღეს, ამ სფეროებში ნდობით სავსე გარემო აღიარებულია ცნობილი ორგანიზაციების – Transparency International-ის, World Justice Project-ის, Freedom House-ის მიერ, რომლებიც საქართველოს ლიდერად მიიჩნევენ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

საერთო ჯამში, საქართველო განვითარდა და ჩამოყალიბდა სამაგალითო დემოკრატიად მთელ რეგიონში და ჩვენი ძალისხმევა დადებითად ფასდება საერთაშორისო დონეზე.

ამ მნიშვნელოვანი წინსვლის გათვალისწინებით, საქართველო მიისწრაფვის ევროკავშირის წევრობისკენ. როგორც მოგეხსენებათ, 2022 წლის 3 მარტს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადი შევიტანეთ და ეს იყო კონკრეტული პასუხი ქართველი ხალხის დიდი ხნის არჩევანზე.

გასულ წელს ევროპულმა საბჭომ აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა და ამით განამტკიცა ევროკავშირში საქართველოს მომავალი.

განზრახული გვაქვს, რომ სწრაფად მოხდეს წინსვლა ევროკავშირის გაწევრიანების გზაზე. კანდიდატის სტატუსი ჩვენი შემდგომი საეტაპო მოვლენა იქნება ამ მიმართულებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ გულდასმით ვიმუშავეთ თითქმის 12-ვე რეკომენდაციაზე, რომლებიც საქართველოს განესაზღვრა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად.

ჩვენი საერთო ისტორია ცხადყოფს, რომ მრავალმხრივ თანამშრომლობასა და წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს ალტერნატივა არ გააჩნია მსოფლიოში მშვიდობის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველო რჩება ერთგული ჩვენი საერთო პრინციპებისა და ღირებულებების დაცვის მიმართ და მოუთმენლად ველით ევროსაბჭოს ფარგლებში თქვენთან თანამშრომლობას და წინსვლას.



## ირაკლი კობახიძე: რადიკალური ოპოზიციის ხელწერაა ბულინგი, ლიბერალური ფაშიზმი!

**საპარლამენტო უმრავლესობა იყო სრულად მობილიზებული, რომ აგვერჩია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები და შეგვესრულებინა, მათ შორის, 12-დან ერთ-ერთი პუნქტი, ოპოზიციას ჰქონდა პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულება საკითხისადმი, ისინი არ უჭერდნენ მხარს არც ერთ კანდიდატს,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

**„მათაც ამოძრავებდათ იგივე ინტერესი, კანდიდატის სტატუსის მიღება, თუმცა ამის შემდეგ ჩაირთო ბულინგის კამპანია. იოსელიანმაც ისაუბრა, როდესაც აირჩიეს სახალხო დამცველის თანამდებობაზე, იმ დეპუტატების მიმართ, რომლებიც ხმას აძლევდნენ ოპოზიციიდან, წარმოებდა ბულინგი. გუშინ გახდა საჯარო მთელი საზოგადოებისთვის, როგორ წარიმართებოდა კამპანია და ბულინგი იმ დეპუტატების წინააღმდეგ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.**

**ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს რადიკალური ოპოზიციის სახეს. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს ქვეყანამ, და მეორე: ბულინგი, ლიბერალური ფაშიზმი – ეს არის მათი ხელწერა. რაც შეეხება კენჭისყრის პროცედურას, რეგლამენტის თანახმად, გვევალება დღეს ჩავატაროთ ფორმალურად მაინც კენჭისყრა და ამის შემდეგ იმართება მესამე ტური, ორ კვირაში, შემდეგ პლენარულ სხდომებზე. ჩვენ გვექნება კონსულტაციები ამ პერიოდის განმავლობაში და იმედი გვაქვს, საბოლოო ჯამში, მოხერხდება ხუთივე საბჭოს წევრის არჩევა. კონსულტაციები იქნება ოთხი კანდიდატის გარშემო.**

**ჩვენ შევთავაზებთ კიდევ ერთხელ ოპოზიციას, რომ ამ შემთხვევაში მაინც დაადასტურონ საკუთარი ერთგულება კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესის მიმართ. თუ ამას კიდევ ერთხელ არ აჩვენებენ, ამ შემთხვევაში საზოგადოება ნახავს, რა არის მათი რეალური განზრახვა. სინამდვილეში, ძალიან მარტივად გაევლო ერთგვარი ზღვარი კონკრეტულ ოპოზიციონერ დეპუტატებსა და სხვა ოპოზიციონერ დეპუტატებს შორის, გამოჩნდა, ვის სურს კანდიდატის სტატუსი და ვის – არა“,** – განაცხადა კობახიძემ.

სულეთთანა



## რუსუდან ბერიძე

83 წლის ასაკში გარდაიცვალა მათემატიკოსი, პედაგოგი და პოლიტიკოსი რუსუდან ბერიძე.

რუსუდან ბერიძემ 1961 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 1965 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის ლექტორი, 1992-1995 წლებში – საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „მშვიდობა“. იყო სპიკერის მოადგილე და შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, 1997-2005 წლებში იყო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე.

რუსუდან ბერიძე არის 20 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. მიღებული აქვს ღირსების ორდენი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

რუსუდან ბერიძე წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას თანამეცხედრე და ირაკლი კოსტავას დედა იყო.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს!



ვახტანგ ძაბირაძე:

# სალომე არ არის ჩვენი პრეზიდენტი, უმრავლესობის აზრს არ იზიარებს და დასავლეთის ეშინია!..



**31 მაისს, სტრასბურგში სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისგან, შესაძლოა, ნიკა გვარამიას შეწყალებაზე განცხადება მოვისმინოთ. როგორც ჩანს, თბილისში ამაზე გარკვეული მოლოდინი არსებობს, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტს გვარამიას მეგობრები მის შეწყალებას დიდი ხანია სთხოვენ. არსებობს თუ არა დასავლეთიდან ზურაბიშვილზე გვარამიას შეწყალებაზე ზეწოლა, უცნობია, თუმცა ზოგიერთი ევროპარლამენტის განცხადებებს თუ გადავხედავთ, მსგავსი „ზეწოლა“ პრეზიდენტზე დახურულ კარს მიღმა შესაძლოა, მიდიოდეს. რეალურად, რას იზამს ზურაბიშვილი და მიიღებს თუ არა ასეთ გადაწყვეტილებას, ჯერ უცნობია.**

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ თუ ზურაბიშვილი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, მისთვის პოლიტიკურად წამგებიანი ნაბიჯი იქნება და ხელისუფლებასთან და მის მხარდამჭერებთან ურთიერთობა კიდევ უფრო დაეძაბება.

**„ნიკა გვარამიას თავისუფლების მოძრაობის“ წევრები და მათი თანამოაზრეები გვარამიას გათავისუფლების მოთხოვნით, 27 მაისს, 18:00 საათზე, პრეზიდენტის სასახლესთან საპროტესტო აქციას გამართავენ. როგორც მათ ბრიფინგზე განაცხადეს, პროტესტი გაგრძელდება მანამ, ვიდრე ნიკა გვარამია არ გათავისუფლდება.**

**გედევან ფოფხაძის** განცხადებით, ისინი 27 მაისს პრეზიდენტის სასახლესთან შეიკრიბებიან და კიდევ ერთხელ გააპროტესტებენ გვარამიას უკანონო პატიმრობას. ფოფხაძემ სალომე ზურაბიშვილის ევროპარლამენტში დაგეგმილ ვიზიტზეც ისაუბრა და თქვა, რომ პრეზიდენტი იქ უნდა წავიდეს არა **ბიძინა ივანიშვილის** გზავნილებით, არამედ ქართველი ხალხის გზავნილებით და პოლიტპატიმრების გარეშე.

**„ჩემთვის ძნელი სათქმელია, ვინ უფრო დამნაშავეა, ეს სასამართლო, რომელმაც არ შექმნა პალატა, დაარღვია ვადები – 22 ივნისს ბოლო თარიღი აქვს, რომ გამოიტანოს გადაწყვეტილება და ზუსტად ვიცით, რომ ეს გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, თუ პრეზიდენტი, რომელსაც შეუძლია, ეს უკანონობა დაამთავროს და ამ გადაწყვეტილებას არ იღებს. ჩვენ გავაპროტესტებთ უკანონო პატიმრობასაც და იმასაც, რომ ამ უკანონო პატიმრობას ჰყავს ხელშემწყობები“**, – განაცხა გედი ფოფხაძემ.

**„მერწმუნეთ, ევროინტეგრაციის გზა შეიძლება გადიოდეს მხოლოდ სამართლის უზენაესობაზე და არა კანონიერად დაპატიმრებული ადამიანების გათავისუფლებაზე“**, – განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებთან.

**„ეს არის ევროინტეგრაციის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი - სამართლის უზენაესობა, კანონის აღსრულება. თუ ეს საქართველოში არ გვექნება, ასეთ შემთხვევაში, ევროპული პერსპექტივაც არასდროს გვექნება. თუ ვინმე ამტკიცებს, რომ ევროინტეგრაცია სამართლის უზენაესობაზე უარის თქმას ნიშნავს, ეს მათი არჩევანია“**, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** for.ge-სთან ამბობს, რომ ნიკა გვარამიას მეგობრების მხრიდან განცხადებები თითქოს საქართველოს ევროპული მომავალი მის გათავისუფლებაზე გადის, საზოგადოებაში არასერიოზულად არის აღქმული და გამაღიზიანებელიც კი არის. სალომე ზურაბიშვილი, თუკი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს და მით უმეტეს ამას ბრიუსელში ვიზიტის დროს გაახმოვანებს, პოლიტიკურად მისთვის ძალიან წამგებიანი გადაწყვეტილება იქნება.

**„არ ვიცი ზურაბიშვილმა ეს გადაწყვეტილება ახლა რატომ უნდა მიიღოს და მით უმეტეს, ეს სტრასბურგში ვიზიტის დროს განაცხადოს. ეს მისთვის ძალიან წამგებიანი სვლა იქნება. თუ ამის გაკეთება მაინც გადაწყვეტილი აქვს, ვურჩევ, ეს გააკეთოს არა სტრასბურგში, არამედ თბილისში. თუ ის ამას სტრასბურგში გააკეთებს, ხელისუფლების და მისი მხარდამჭერების მხრიდან ანტიპროპაგანდად იქნება გამოყენებული. იტყვიან, რომ ზურაბიშვილმა სტრასბურგში ვიღაცებს ანგარიში ჩააბარა. ის არ არის ჩვენი პრეზიდენტი, უმრავლესობის აზრს არ იზიარებს და დასავლეთის ეშინია. ეს მესიჯები იქნება მის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით გამოყენებული“**, – ამბობს ძაბირაძე და პრეზიდენტის მხრიდან გვარამიას შეწყალებისგან თავშეკავებას სხვადასხვა მიზეზით ხსნის.

> **„პრეზიდენტმა ერთხელ უკვე ნახა, როგორი რეაქცია ჰქონდა მოსახლეობის ნაწილს, როცა ეჭვი გაუჩნდა, რომ სააკაშვილის და გვარამიას შეწყალებას აპირებდა და არ მგონია, ამ რისკზე წავიდეს“...**

**„ნიკა გვარამიას მოსახლეობის დიდი ნაწილი დამნაშავედ მიიჩნევს. შეიძლება ითქვას, მოსახლეობის 2/3 ფიქრობს, რომ ის ციხეში დამსახურებულად ზის. რისთვის ზის, რა დანაშაულს ედავებიან, ეს უკვე მათთვის მნიშვნელოვანი აღარ არის. ფაქტია, რომ ზის და უმეტესობა ამას სამართლიანობის აღდგენად მიიჩნევს. არის კიდევ ერთი თემა, არავინ იცის მისი პოლიტიკური გეგმების შესახებ. თუ პრეზიდენტი 2024 წელს ოპოზიციასთან ერთად არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს, მაშინ გვარამია არ უნდა შეიწყალოს. მას ის ამომრჩეველი სჭირდება, რომელსაც არც ნაციონალები და არც „ოცნება“ არ უნდა. ასეთ კატეგორიის ამომრჩეველი მიიჩნევს, რომ გვარამია ციხეში უნდა იჯდეს. ზურაბიშვილმა გათვლა ამ ხალხზე უნდა გააკეთოს. ამიტომ ვნახოთ, თუკი მას რეალურად რამე უკვე გადაწყვეტილი არა აქვს, საქმე აქამდეც კი შეიძლება მივიდეს, რომ თავის პოლიტიკურ მომავალზე გათვალოს“**, – ამბობს ძაბირაძე.

ცნობილი ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ სალომე ზურაბიშვილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხული არაფერია. ამიტომ ის უშვებს ალბათობას, რომ მან სტრასბურგში ასეთი განაცხადი გააკეთოს. თუმცა საყვარელიძე მიიჩნევს, რომ არსებობს ბევრი მიზეზი, რის გამოც ის ამ გადაწყვეტილებას ამუხრუჭებს.

**„ერთია რას ამბობს ის დასავლეთში და მეორეა რას ამბობს ქვეყნის შიგნით. მას ამ თემასთან დაკავშირებით, რასაც გვარამიას და სააკაშვილის შეწყალება ჰქვია, ორი პოლიტიკური ტაქტიკა აქვს, ეს არის საგარეო და საშინაო. მისი საგარეო ტაქტიკა ემსახურება იმას, რომ იქ თავს იმართლებს და თავის გადაწყვეტილებას სხვადასხვა მიზეზებით ფუთავს, თუმცა აჩენს განცდას, რომ თუკი საჭირო იქნება ამ გადაწყვეტილებას მიიღებს. ქვეყნის შიგნით კი ამაზე არ საუბრობს და არც მსგავს აქცენტებს აკეთებს. ვფიქრობ, ზურაბიშვილი მაინც ცდილობს, რომ ხელისუფლებასთან ბოლომდე საქმე არ გაირთულოს. იტოვებს კიდევ რაღაცა გზებს, რომ კომუნიკაციისთვის საჭირო ხიდი ბოლომდე არ დაწვას.**

**მეორე მხრივ, გვარამიასთან დაკავშირებით საზოგადოების დიდი ნაწილის აზრი იცის. უმეტესობა მიიჩნევს, რომ ის ციხეში ყოფნას იმსახურებს და არ სურს უმრავლესობის გადაკიდება, რომელიც მას უპრინციპო და სიტყვის გამტეხ პოლიტიკოსად შერაცხავს. მან ნახა ერთხელ უკვე, როგორი რეაქცია ჰქონდა მოსახლეობის ნაწილს, როცა ეჭვი გაჩნდა, რომ სააკაშვილის და გვარამიას შეწყალებას აპირებდა. ასევე ნახა 30 აპრილს ქუჩაში გამოსული ხელისუფლების მხარდამჭერები, რომლებიც ასევე გვარამიას გათავისუფლებას ძალიან უარყოფითად შეხვდება. შესაბამისად, არ მგონია, რომ ის ამ რისკზე წავიდეს“**, – ამბობს საყვარელიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

---



# ნიკა მაჭუტაძე: როსტომ ჩხეიძე, ნატო ჩხეიძე და მე ვტოვებთ ფრაქციას სახელწოდებით – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

**საქართველოს პარლამენტის დეპუტატები როსტომ ჩხეიძე, ნატო ჩხეიძე და ნიკა მაჭუტაძე ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ ტოვებენ.**

მაჭუტაძე აცხადებს, რომ დღევანდელ გადაწყვეტილებას, სრულად იზიარებენ, თუმცა აღნიშნავს, რომ გავრცელებული ინფორმაცია, „ქართულ ოცნებასთან“ გარიგების შესახებ, არის ტყუილი და „კლანს“ ემიჯნებიან.

„დეპუტატები – როსტომ ჩხეიძე, ნატო ჩხეიძე და მე – ნიკა მაჭუტაძე, რომლებიც საქართველოს პარლამენტში არჩეული ვართ მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ პარტიული სიით, ვაცხადებთ, რომ ვტოვებთ ფრაქციას სახელწოდებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“. აქვე ვადასტურებთ, რომ ჩვენ დღევანდელ გადაწყვეტილებას სრულად ვიზიარებთ და მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები დამალვაზე საუბრობდნენ, რასაკვირველია უარვყოფთ და ვაცხადებთ, რომ ჩვენ არსად ვიმალებით.

**ზოგიერთი ტელევიზიის მხრიდან საუბარი იყო გარიგებაზე. ეს არის უსინდისო ტყუილი. როსტომ ჩხეიძე, ნატო ჩხეიძე და ნიკა მაჭუტაძე არავის გარიგებია. „ქართულ ოცნებასთან“ კომუნიკაცია არ გვქონია. „ქართულ ოცნებასთან“ არ გვქონია შეხვედრა. „ქართულ ოცნებასთან“ არ გვქონია სატელეფონო ზარი. ჩვენ არაფერი გვაკავშირებს „კლანთან“. იმ „კლანთან“, რომელიც იუსტიციის საბჭოში ძალიან მტკიცედ არის ჩამჯდარი.**

ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით იმ სასამართლო „კლანს“, რომელიც ქვეყნის სასამართლო სისტემაში არსებობს“.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამართული კენჭისყრის შედეგად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული 5 არამოსამართლე წევრის ვაკანსიიდან სამი ვაკანსია შეივსო.

90-ზე მეტი ხმა ტრისტან ბენაშვილმა (93 ხმა), გიორგი გზობავამ (91 ხმა) და ზურაბ გურასპაშვილმა (93 ხმა) მიიღეს და შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები გახდნენ.

აღსანიშნავია, რომ “ქართული ოცნების“ უმრავლესობას პარლამენტში სულ 84 ხმა აქვს.

**თითქმის ორი წელია, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 5 არამოსამართლე წევრის თანამდებობა ვაკანტურია. პარლამენტის მიერ არჩეულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებს უფლებამოსილების ვადა ჯერ კიდევ 2021 წლის ივნისში ამოეწურათ. საბჭოში 5 არამოსამართლე წევრის თანამდებობა ვაკანტურია მას შემდეგ, რაც საბჭოს არამოსამართლე წევრებს: – ნაზი ჯანეზაშვილს, ირმა გელაშვილს, ლევან გზირიშვილს, ზაზა ხარებავას და შოთა ქადაგიძეს უფლებამოსილების ვადა გაუვიდათ. შესაბამისად, 2021 წლის ივნისიდან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 15 წევრის ნაცვლად, მხოლოდ 10 წევრია.**

№56. პარასკევი, 19 მაისი, 2023 წელი.



ედიშერ გვენეტაძე:

# რატომ არავინ ითხოვს ქართული ჯარის ძარცვის საქმეზე გამოძიებას?

**ე.წ. ქოლცენტრების საქმეზე კვალი გიორგი გახარიამდე მიდის.** „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ გახარიას შს მინისტრობის პერიოდში დაიწყო **დავით კეზერაშვილმა** საქართველოში „ქოლცენტრების“ შექმნა და სწორედ მის თვალწინ ხდებოდა ეს დანაშაული.

**„თუ გახარიას პარტიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ხელისუფლების ცოდნის გარეშე ეს დანაშაული ვერ იქნებოდა ჩადენილი, მაშინ გახარია თვითონ იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, მერე გახდა პრემიერი და გამოდის, რომ მას სცოდნია ამ დანაშაულის შესახებ. ასეთ სისულელეს ამტკიცებენ საკუთარი ლიდერის წინააღმდეგ. წარმოიდგინეთ, გამოდიან დეპუტატები, გახარიას პარტიის წარმომადგენლები და ამტკიცებენ, რომ გახარიას უნდა სცოდნოდა აუცილებლად კეზერაშვილის მიერ „ქოლცენტრების“ შექმნის თაობაზე. ასეთ აბსურდში არიან შესული. საკუთარ თავს იზიანებენ და საკუთარ ბელადს აზიანებენ“...**

„ქოლცენტრების“ საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს პარტია „საქართველოსთვის“. ინიციატორების განცხადებით, ამ კომისიის მთავარი ამოცანა იქნება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოძიების დახმარება. ინიციატივას მხარს უჭერს „ნაციონალური მოძრაობა“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“. „ქართული ოცნება“ საგამოძიებო კომისიის შექმნას არ ეთანხმება და თვლის, რომ ოპოზიცია თვითაქტუალიზაციის შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებს. მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ საერთაშორისო გამოძიების პარალელურად, საგამოძიებო კომისიის შექმნა აზრს მოკლებულია.

* * *

„ქოლცენტრების“ საქმის კიდევ ერთი ფიგურანტი **გიორგი ვაშაძე** ამტკიცებს, რომ ამ საქმესთან „ქართული ოცნების“ დეპუტატის, **ისკო დასენის** ოჯახია დაკავშირებული. ვაშაძის თქმით, აღმაშენებლის გამზირზე ჩატარებული სპეცოპერაცია „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტულმა მედიამ მისი და უკრაინელი პოლიტიკოსის, **დავით არახამიას** გასაშავებლად გამოიყენა და მათი „ქოლცენტრებთან“ დაკავშირება სცადა.

მისი განცხადებით, ხელთ აქვს მტკიცებულებები, თუ როგორ არის დაკავშირებული სწორედ „ქართულ ოცნებასთან“ ეს კონკრეტული შემთხვევა და „ქოლცენტრების“ თაღლითური სქემა, რომელიც არა მხოლოდ ევროპელ პენსიონერებს ძარცვავს, არამედ, ძარცვავს საქართველოს მოქალაქეებსაც და ამის არაერთი ფაქტი არსებობს.

**„13 აპრილს ვინმე მიხეილ არახამია არეგისტრირებს კომპანიას „ლაიონ 7“-ს, რომელიც იმ დღესვე ქირაობს ფართს აღმაშენებლის 75-ში, სადაც სხვა სართულზე ჩემი ძმა ფლობს 10-ნომრიან სასტუმროს და კითხვა ჩნდება – ვინ არის მიხეილ არახამია, რომელიც აორთქლდა და გაქრა საერთოდ საქართველოდან? მიხეილ არახამიას ცოლი, ქეთევან თედორაძე გახლავთ მალხაზ ამოიანის კომპანიის, შპს „რუმსის“ დირექტორი. თავის მხრივ, მალხაზ ამოიანი დასენების კლანთან ერთად, „ჩაჩი“ დასენთან ერთად ფლობს „ბლექ სი როქს“ კომპანიას – „ქოლცენტრს“, რომელიც ძარცვავს როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე, პირველ რიგში, ევროპელ პენსიონერებს. ვინ არის ჩაჩი დასენი? ჩაჩი დასენი გახლავთ კომპანია „ვიპ ტრეიდის“ დირექტორი, რომლის მეწილეები 2020 წლამდე იყვნენ ტიტალ დასენი და კნიალ დასენი, ასევე არტურ არაბიანი, ეს ადამიანები გახლავთ ისკო დასენის ოჯახის წევრები.**

**ჩაჩი დასენი აქაურმა პროკურატურამაც კი მისცა პასუხისგებაში ფულის გათეთრების გამო, ვეღარ დაიმალა იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი ამ ადამიანს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისკო დასენი და დასენების ოჯახი უარყოფს კავშირს, თითქოსდა 2020 წლიდან კავშირი არ აქვს ჩაჩი დასენთან, არადა მათი სხვა კომპანიის, შ.პ.ს „მისო ლიდერის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ბატონი გიორგი გოგუაძე, ამ წლის 24 აპრილის ჩათვლით, გახლდათ „ვიპ ტრეიდის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ანუ აი, ამ დასენების კლანის მიერ შექმნილი თაღლითური სქემის, მთავარი, დედაკომპანიის წევრი“,** – განაცხადა **გიორგი ვაშაძემ.**



* * *

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს **ისკო დასენი** და აცხადებს, რომ არც მას და არც მისი ოჯახის წევრებს არანაირი ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ „ქოლცენტრებთან“. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ამბობს, არ იცნობს ვაშაძის მიერ დასახელებულ პირებს – მიხეილ არახამიას, ზურაბ ლეშკაშელს, ქეთევან თედორაძეს და მალხაზ ამოიანს.

**„ვაშაძე ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება. ყველამ ვიცით, რომ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს ფარგლებს გარეთ. დრო ყველაფერს გვაჩვენებს და დადგინდება, ვის მიერაა ჩადენილი ეს დანაშაულები. ვაშაძეს არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, არც აქვს და ვერც წარმოადგენს“,** – განაცხადა **ისკო დასენმა.**

ანალიტიკოსების განცხადებით, მოსალოდნელი ხამურიანი დაკავებების თავიდან არიდებას ემსახურება ოპოზიციის მოთხოვნა, შეიქმნას პარლამენტის საგამოძიებო კომისია. ანალიტიკოსი, „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი დავით ქართველიშვილი აცხადებს, რომ საპარლამენტო კომისიის შექმნა და ამ გამოძიების თავისებურება არის ის, რომ ძირითადი საგამოძიებო ნაწილი იმყოფება ევროპაში, გერმანიაში და შესაძლოა, დიდ ბრიტანეთში. 2021 წლის ნოემბერში საქართველოში ბავარიიდან ჩამოვიდა საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს საქართველოს გამოძიებასთან.

**„დაინტერესებულ მხარეს ნაკლებად მიუწვდება ხელი იმ საგამოძიებო მასალებთან, რომლის ძირითადი ნაწილი ძიებაში არის საზღვარგარეთ. საქართველოს მხარე არის მხოლოდ კოლეგიალური დამხმარე ამ გამოძიებაში თავის ევროპელ პარტნიორებთან და თუკი გახარიას, როგორც ყოფილ შს მინისტრს და პრემიერ-მინისტრს ხელი მიუწვდებოდა „ქოლცენტრების“ ისტორიასთან, ან შესაძლო ხელის დაფარების, თუ სხვა თანამონაწილეობის კუთხით აქვს შემხებლობა,**

**რა თქმა უნდა, მას აინტერესებს, რა ტიპის მასალებია და შესაძლოა, ეს მოტივაცია ჰქონდა მის პარტიას, როდესაც მოითხოვეს საგამოძიებო კომისიის შექმნა – გამოვითხოვოთ ქართული საგამოძიებო ორგანოებიდან ამ საქმეზე მიმდინარე მასალები, შევისწავლოთ, ხომ არ იკვეთება გახარიას თანამონაწილეობა, ან შემხებლობა და ხომ არ აქვს ამის შესახებ საერთაშორისო გამოძიებას რაიმე ტიპის მონაცემები.**

**სხვა, დანარჩენს და მათ შორის „ნაციონლურ მოძრაობას“, რომელმაც რამდენჯერმე აქეთ დაადანაშაულა მოქმედი ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები „ქოლცენტრებთან“ კავშირში, ამ ბრალდების და ვარაუდის დასადასტურებლად არ მოუთხოვია საგამოძიებო კომისიის შექმნა, ეს გააკეთა გახარიას ფრაქციამ, რაც, რა თქმა უნდა, ბადებს ეჭვს, რომ სწორედ დაინტერესებულმა მხარემ მოითხოვა ამ კომისიის შექმნა“,** – აღნიშნა **დავით ქართველიშვილმა.**

ანალიტიკოს ედიშერ გვენეტაძის განცხადებით, გახარიას პარტიის მიერ დაყენებული საკითხი, რომ უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, არასწორია. მიმდინარეობს გამოძიება და ორი გამოძიება ერთ საკითხზე, მით უმეტეს, როდესაც გამოძიებაში საქართველოს პროკურატურასთან ერთად ჩართული არიან მათი ევროპელი კოლეგები, პარალელურად პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნა არის დაუშვებელი.

**„ამიტომ, სანამ გამოძიება დამთავრებული არაა, აბსოლუტურად შეუძლებლად მიმაჩნია შეიქმნას საგამოძიებო კომისია პარლამენტში. კი მაგრამ, პარლამენტი პროკურატურაა, თუ საკანონმდებლო ორგანო? დამთავრდეს გამოძიება და ამის შემდეგ თუ იქნება რამე ხინჯები ამ გამოძიებაში, ამის შემდეგ შეიქმნას. ბატონ ირაკლი კობახიძეს, ეტყობა, აქვს მასალები ამის შესახებ და იცის, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ განცხადების გაკეთება, რომ „ქოლცენტრების“ შექმნა დაწყებულია გახარიას პრემიერობის დროს, ინფორმაციის გარეშე არ გააკეთებდა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველამ უნდა აკეთოს თავისი საქმე. პოლიტიკოსებმა მიხედონ პოლიტიკას და ამ საქმეს, რასაც ჰქვის „ქოლცენტრების“ საქმე, უნდა მიხედოს შესაბამისმა ორგანოებმა.**

**ასახელებენ „ქოლცენტრებს“, მაგრამ რატომ არავინ ითხოვს საგამოძიებო კომისიის შექმნას ქართული ჯარის ძარცვის საქმეზე? ეს ხომ ძალიან საინტერესოა. პროკურატურამ გამოიძია და ბრალი წაუყენა კეზერაშვილს, მაგრამ რატომ არც ერთი დეპუტატი არ ითხოვს ქართული ჯარის ძარცვის საქმეზე გამოძიებას? ვითომ ევროპელი პენსიონერები უფრო ახლობლად მიაჩნიათ, ვიდრე ქართული ჯარი? ამით ხომ ყველაფერია ნათქვამი“,** – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ედიშერ გვენეტაძემ.**

**თამთა ქარჩავა**




## „პატრიოტთა ალიანსი“ ჩამშვებ (აგენტ) თანამდებობის პირთა ტესტირებას მოითხოვს!

**„პატრიოტთა ალიანსი“ ამზადებს საკანონმდებლო ინიციატივას მაღალი თანამდებობის პირებისათვის და არჩევითი ორგანოების წარმომადგენლებისთვის სავალდებულოდ მოხდეს სიცრუის დეტექტორზე ტესტირების გავლა,** – ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი მალხაზ თოფურია წერს.

თოფურიას თქმით, „პატრიოთა ალიანსს“ აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით საზოგადოების მხარდაჭერის იმედი აქვს.

**„პატრიოტთა ალიანსი“ შემოდის წინადადებით და ამზადებს საკანონმდებლო ინიციატივას მაღალი თანამდებობის პირებისათვის და არჩევითი ორგანოების წარმომადგენლებისთვის (როგორც მოქმედის ასევე შემდგომ კანდიდატებისთვის) სავალდებულოდ მოხდეს სიცრუის დეტექტორზე ტესტირების გავლა ერთადერთი შეკითხვით, თანამშრომლობს თუ არა და გამოხატავს თუ არა სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესებს პატივცემული“.**

**ვფიქრობთ, შეკითხვა ფრიად მარტივია და ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სწორად განვითარებისთვის და არა ისე განვითარებისთვის, როგორც სხვა ქვეყნების (რომელიც არ უნდა იყოს) სპეცსამსახურებს სურთ. აღნიშნული ინიციატივის ავტორები „პატრიოტთა ალიანსის“ ხელმძღვანელობა და გამგეობის წევრები გამოვთქვამთ მზადყოფნას, პირველ რიგში აღნიშნული ტესტირება ჩატარდეს ჩვენზე, როგორც ინიციატივის ავტორებზე.**

**ვფიქრობ, აღნიშნულ ინიციატივას დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ როგორც მმართველი რგოლის ბევრი წევრი, ასევე ოპოზიციური ჯგუფები, განსაკუთრებით, „ნაცმოძრაობა“ და მათი ანასხლეტები, თუმცა იმედი გვაქვს საზოგადოების იმ დიდი ნაწილის მხარდაჭერის, რომელსაც არ სურს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების რეჟიმით ცხოვრება და სურვილი აქვს ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების.**

**ვფიქრობ, მოთხოვნა ლეგიტიმურია, შემაკავებელია რევოლუციური და სხვადასხვა რყევების მიმართ ამა თუ იმ გარე ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ და ერთადერთი გზაა ბინძური აგენტურული ფულის წინააღმდეგ სახელმწიფოებრივი ინტერესების გამარჯვებისა“,** – წერს მალხაზ თოფურია.



# სტუ-ის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე აპენინებზეც დააფასეს



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, საქართველოში იტალიური ენისა და კულტურის გავრცელებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, დანტე ალიგიერის საზოგადოებამ ოქროს მედლით დააჯილდოვა.**

დაჯილდოების ცერემონიას, რომელიც რომში, ფლორენციის სასახლეში გაიმართა, ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში კონსტანტინე სურგულაძე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვატიკანში ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი, დანტე ალიგიერის საზოგადოება-თბილისის კომიტეტის პრეზიდენტი ნინო ცერცვაძე, აკადემიური წრეებისა და იტალიის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ის სტუდენტები, რომლებიც Erasmus+ გაცვლითი პროგრამით იტალიის უნივერსიტეტებში იღებენ განათლებას.

საზეიმო ღონისძიებაზე სტუ-ის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს დანტე ალიგიერის საზოგადოების უმაღლესი ჯილდო და დიპლომი საზოგადოების გენერალურმა მდივანმა, პროფესორმა ალესანდრო მაზიმ გადასცა.

რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ დანტე ალიგიერის საზოგადოების პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანს საპატიო ჯილდოსთვის მადლობა გადაუხადა და მხარეებს შორის წარმატებული თანამშრომლობის შესახებ ისაუბრა.

**„მადლობას ვუხდი დანტე ალიგიერის საზოგადოებას, პროფესორ ანდრეა რიკარდისა და პროფესორ ალესანდრო მაზის საპატიო ჯილდოს გადმოცემისთვის, რომელიც იტალიის უზენაესი პოეტის, დანტე ალიგიერის სახელს ატარებს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინიციატივითა და ალიგიერის საზოგადოების მხარდაჭერით, ასევე, დანტე ალიგიერის საზოგადოება-თბილისის კომიტეტის უშუალო ჩართულობითა და იტალიაში საქართველოს საელჩოს თანადგომით, ერთობლივად შემუშავდა საერთაშორისო პროექტი, რის შედეგადაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნა და წარმატებით ფუნქციონირებს ჰიბრიდული დიდაქტიკური ცენტრი – „დანტეს კაბინეტი“. შემუშავებულია იტალიური ენისა და კულტურის ეფექტური და ხარისხიანი სწავლების ინტერდისციპლინური უფასო კურსები სტუდენტებისთვის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და თანამშრომლებისთვის. გარდა ამისა, ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეს შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტს, უსასყიდლოდ შეისწავლოს იტალიური ენა და ეზიაროს ამ დიდ კულტურას. ამ ეტაპზე, დანტე ალიგიერის საზოგადოების სათავო ოფისთან ერთად, აქტიურად ვმუშაობთ იმ მიმართულებით, რომ იტალიური ენა, სილაბუსის სახით, ჩვენი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში აისახოს. შეუძლებელია, არ აღინიშნოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მჭიდრო საგანმანათლებლო და სამეცნიერო კოლაბორაცია იტალიის წამყვან უნივერსიტეტებთან, სადაც Erasmus+ პროგრამის ფარგლებში არაერთი ჩვენი სტუდენტი იღებს განათლებას და ეწევა კვლევით საქმიანობას. მადლობას ვუხდი ჩვენს ახალგაზრდებს, რომ ესწრებიან დღევანდელ ღონისძიებას. დარწმუნებული ვარ, დანტე ალიგიერის საზოგადოებასა და ჩვენს უნივერსიტეტს შორის მეგობრობა სამომავლოდ კიდევ უფრო გამყარდება, რაც დიდად წაადგება საქართველოსა და იტალიის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული სივრცეების მეტად დაახლოებას“,** – აღნიშნა აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ.

საზეიმო ღონისძიებაზე სტუ-ის რექტორმა დანტე ალიგიერის საზოგადოების პრეზიდენტს, პროფესორ ანდრეა რიკარდისა და საზოგადოების გენერალურ მდივანს, პროფესორ ალესანდრო მაზის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები გადასცა. როგორც დავით გურგენიძემ აღნიშნა, დანტე ალიგიერის საზოგადოების ხელმძღვანელებს, სტუ-ის საპატიო დოქტორის ხარისხი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, 2022 წლის ოქტომბერში მიენიჭათ.

დანტე ალიგიერის საზოგადოების გენერალური მდივანი, პროფესორი ალესანდრო მაზი თავის გამოსვლაში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს შეეხო. მისი თქმით, იტალიასა და საქართველოს შორის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა, რაშიც დიდი წვლილი საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, პირადად რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ და დანტე ალიგიერის საზოგადოების თბილისის კომიტეტმა შეიტანეს. როგორც ალესანდრო მაზიმ აღნიშნა, ქართულ უნივერსიტეტთან კოლაბორაცია იტალიასა და საქართველოს შორის ხელმოწერილი კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობის აღმასრულებელი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

**„მოხარულნი ვართ, რომ დანტე ალიგიერის საზოგადოების ჯილდო გადავეცით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ დავით გურგენიძეს - ადამიანს, რომლის პირადი დამსახურებითა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელშეწყობით, ასევე, ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერით, შეიქმნა იტალიური ენისა და კულტურის შემსწავლელი ჰიბრიდული აუდიტორია. ჩვენთვის, ასევე, დიდი პატივია, ის ჯილდო და წოდება, რაც დანტე ალიგიერის საზოგადოებასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დამყარებული საუკეთესო თანამშრომლობის გათვალისწინებით, რექტორმა და აკადემიურმა საბჭომ მოგვანიჭა. გვჯერა, ჩვენი თანამშრომლობა სამომავლოდ მეტად გაღრმავდება და მრავალფეროვანი გახდება. ორივე მხარეს ღრმად გვწამს, რომ განათლება და მეცნიერება, კულტურა და სამოქალაქო დიალოგი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს შორის, მოგვიტანს საუკეთესო შედეგებს, ჰუმანიზმსა და მშვიდობას, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ ჰუმანიზმი და მშვიდობა სწორედ ის კულტურული მონაპოვარია, რომელიც სკოლისა და უნივერსიტეტის კედლებში ყალიბდება“,** – აღნიშნა პროფესორმა ალესანდრო მაზიმ.

რომში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორისა და დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, დანტე ალიგიერის საზოგადოების სათავო ოფისში შედგა რამდენიმე შეხვედრა, რომლებზეც მხარეებმა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული კოლაბორაციის გაღრმავების შესაძლებლობებზე იმსჯელეს.

მოამზადა
ნინო ჯინჭარაძემ



# კახა კალაძე: თბილისი ჩვენი საერთო ოჯახია, ყველა ერთად გავუფრთხილდეთ მის სიწმინდეს!

თბილისის მერიაში გუშინწინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ საზოგადოებას 17 მაისი – ოჯახის სიწმინდის დღე მიულოცა.

**„17 მაისს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის თაოსნობით, აღინიშნება ოჯახის სიწმინდის დღე, როგორც სიმბოლო ოჯახისა და ქვეყნის ერთიანობისა. მინდა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს მოგილოცოთ დღევანდელი დღე. ჩვენს ოჯახებს მშვიდობასა და კეთილდღეობას ვუსურვებ“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

სხდომაზე თბილისის მერმა რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში ახალი, ფასიანი სერვისების შემოღება იგეგმება. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა კი, ვიცე-მერ ირაკლი ხმალაძეს დაავალა.

**„ურბანულ მიმართულებას შეგვიძლია ახალი სერვისები დავამატოთ, რომელიც ფასიანი იქნება. ეს როგორც ფიზიკურ პირს, ასევე ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ მომსახურება დაჩქარდეს და პასუხი ვადაზე ადრე გაეცეს. მინდა დავავალო ვიცე-მერს, ირაკლი ხმალაძეს და შესაბამის სამსახურებს, რომ დაიწყონ ამ საკითხებზე მუშაობა.**

**ამასთან, დღეს არის კიდევ ერთი პრობლემა – არიან ადამიანები, ვისაც არ აქვთ გამოცდილება, თუ როგორ უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა არქიტექტურის ან ურბანულ სამსახურთან. არის შემთხვევები, როდესაც შემოტანილ განცხადებაზე ხარვეზი უდგინდებათ. ჰგონიათ, რომ მუნიციპალიტეტი უარს ეუბნება კონკრეტულ ადამიანს ნებართვის გაცემაზე. ფასიანი მომსახურების დამატების შემდეგ, იმ ადამიანებს, რომლებსაც დოკუმენტაციასთან მუშაობის გამოცდილება არ აქვთ, ეყოლებათ მერიის თანამშრომელი წარმომადგენლის სახით და ყველა სამუშაოს ის შეასრულებს. ჩემი თხოვნაა, რაც შეიძლება სწრაფად დავამუშაოთ აღნიშნული სერვისების დაგეგმვა. საზოგადოებას კი ექნება არჩევანი – სწრაფი ფასიანი სერვისი მიიღოს ან კანონით გაწერილ ვადაში ეცნობოს პასუხი“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ სატრანსპორტო მიმართულებით დაგეგმილ სიახლეებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამ მეტროსადგურში – „ახმეტელის თეატრი“, „ვარკეთილსა“ და „დიდუბეში“ ახალი, განსხვავებული გაბარიტების ტურნიკეტები დაიდგმება.

**„ეს ტურნიკეტები უფრო ვიწროა, რაც მათი მეტი რაოდენობის დადგმის შესაძლებლობას მოგვცემს. შესაბამის ტურნიკეტებს მოგვაწვდის კომპანია „ქართული მიკროელექტრონიკა“. მასთან უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება“,** – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრში“ ტურნიკეტების რაოდენობა უკვე გაიზარდა, რამაც მგზავრთა გამტარუნარიანობა გააუმჯობესა და მოკლევადიან პერსპექტივაში პრობლემა მოაგვარა. თბილისის მერმა დედაქალაქში გაზრდილ მგზავრთა ნაკადზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2024-2025 წლებში ახალი 18-მეტრიანი ავტობუსები მოემსახურება დედაქალაქის მოსახლეობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

თბილისის მერმა A კატეგორიის ტაქსებისთვის სიახლეებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 22 მაისიდან მუნიციპალურ სერვისცენტრებში სპეციალური სტიკერების გაცემა დაიწყება.

**„22 მაისიდან ვიწყებთ სპეციალური სტიკერების დარიგებას, რომელიც იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს. სტიკერები დაურიგდება A კატეგორიის ტაქსის მძღოლებს, რომელთა ავტომობილის ასაკი არ აღემატება 10 წელს. ამასთან, 1 ივნისიდან ამ სტიკერის მქონე ტაქსებს საავტობუსო ზოლში მოძრაობის უფლება ექნებათ. სტიკერების მიღება ტაქსის მძღოლებს შეუძლიათ მუნიციპალურ სერვისცენტრებში. სტიკერი განთავსდება ტაქსის საქარე მინაზე, მარჯვენა ზედა კუთხეში“.**

ასევე, **A** კატეგორიის ტაქსის მძღოლებისთვის მგზავრობის ღირებულების QR კოდით გადახდის ინოვაციური სერვისიც ამოქმედდება. თბილისის მერის თქმით, სერვისის მიღებას **A** კატეგორიის ტაქსის მძღოლები, სურვილის შემთხვევაში, 22 მაისიდან შეძლებენ. მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ აპლიკაცია Fixs Tbilisi-ის შესახებაც ისაუბრა. პირველ ეტაპზე, აპლიკაცია აერთიანებს საკითხთა ოთხ კატეგორიას: საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანება, ხე-მცენარეების დაზიანება, გარეგანათების დაზიანება და საპარკო ინფრასტრუქტურის დაზიანება. მოქალაქე შეძლებს აღრიცხოს დაზიანება, გადაუღოს ფოტო, მიუთითოს მისამართი და დაურთოს აღწერა. აღნიშნული ინფორმაცია ავტომატურ რეჟიმში მიეწოდება შესაბამის საქალაქო სამსახურს.

**„საკმაოდ დიდი აქტიურობაა, უკვე 180-ზე მეტი შეტყობინებაა შემოსული, რაც ძალიან კარგია. მინდა, ყველა იმ ადამიანს მადლობა გავუხადო, ვინც ზრუნავს, რომ ჩვენი ქალაქი იყოს მოწესრიგებული, გამართული ინფრასტრუქტურით. ერთად უნდა ვებრძოლოთ ქალაქში ვანდალიზმს“.**

აპლიკაციის გადმოწერა google play store-იდან ან app store-იდან არის შესაძლებელი. საუბრის დასასრულს, თბილისის მერმა საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი – კოტე თაბაგარი წარუდგინა, რომელიც 41 წელია მუნიციპალური ავტობუსის მძღოლად მუშაობს.

# როგორ იყენებს რუსეთი ვიზებს, მიმოსვლას, ვაჭრობას ბერკეტად...

# მოთვინიერება წკეპლითა და თაფლაკვერით

## ფაქტები საქართველოს ახლო წარსულიდან



**2000 წელს, როცა რუსეთმა სავიზო რეჟიმი დაუწესა, საქართველო ჯერ კიდევ დსთ-ის წევრი იყო. ოკუპანტი ქვეყანა მრავალი წელი წკეპლითა და თაფლაკვერით ცდილობდა თბილისის მოთვინიერებას. პუტინის რუსეთი ზეწოლის მექანიზმად ასევე იყენებდა ავიამიმოსვლასაც – ხან დაუშვებდა და ხანაც ისევ აკრძალავდა.**

**ძირეული ცვლილება არც „ქართული ოცნების“ „არგაღიზიანების პოლიტიკას“ მოჰყვა – ბოლოს ფრენა სწორედ „ოცნების“ მმართველობის დროს, 2019 წელს შეწყდა. ახლა კრემლი თბილისს ისევ „თაფლაკვერს“ სთავაზობს.**

**2023 წლის 10 მაისს ვლადიმირ პუტინმა 2 განკარგულება გამოსცა – გააუქმა საქართველოს მოქალაქეებისთვის 2000 წლიდან მოქმედი სავიზო რეჟიმი და მოხსნა 2019 წლიდან დაწესებული აკრძალვა ორ ქვეყანას შორის პირდაპირ ფრენებზე.**

**პუტინის რუსეთმა სავიზო რეჟიმი საქართველოს ბევრად ადრე დაუწესა, ვიდრე, 2008 წელს, საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე ორ „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“ აღიარებდა.**

**„რადიო თავისუფლებამ“ ახლო წარსულის მნიშვნელოვან ფაქტებსა და განცხადებებს მოუყარა თავი.**

### 2000 წელი – რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს აწესებს

**გადაწყვეტილება მოსკოვმა მაშინ პანკისის ხეობაში არსებული „ტერორისტული საფრთხეებით“ ახსნა. ჩეჩნეთის მეორე სისხლისმღვრელი ომის ფონზე (1999-2000) კრემლი აცხადებდა, რომ “ჩეჩენი ტერორისტები“ თავს საქართველოს აფარებდნენ.**

მოსკოვი თბილისს წლების განმავლობაში სთხოვდა ჩეჩენი საველე მეთაურის - რუსლან გელაევის გადაცემას. საქართველოს ხელისუფლებამ მაშინ აღიარა, რომ ჩეჩენი მებრძოლები გარკვეული პერიოდის განმავლობაში მართლაც იყვნენ გადმოსული პანკისის ხეობაში, მაგრამ შევარდნაძე ვარაუდობდა, რომ „გელაევი რუსეთისთვის მისაღები პიროვნება“ იყო. გელაევი 2004 წელს დაღესტანში მოკლეს. საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული სავიზო რეჟიმი არ გავრცელდებულა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

სავიზო რეჟიმთან დაკავშირებული გადაწყვეტილება რუსეთს არც მას შემდეგ შეუცვლია, რაც თბილისმა, 2003 წლამდე, განამტკიცა კონტროლი პანკისის ხეობაში.

ჩეჩენი მებრძოლების საბაბად გამოყენება თავიდანვე არადამაჯერებლად ეჩვენებოდათ ექსპერტებს. ამბობდნენ, რომ ნამდვილი მიზეზი თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის პროექტსა და საქართველოს დასავლური ორიენტაციის ხორცშესხმის რეალურ პერსპექტივებს უკავშირდებოდა.

2000 წლის 5 დეკემბერს, საპასუხოდ, რუსეთს სავიზო რეჟიმი საქართველომაც დაუწესა და შესაბამის 518-ე ბრძანებულებას ედუარდ შევარდნაძემ მოაწერა ხელი.

2004 წლის ივლისიდან, საქართველოს უკვე ახალმა ხელისუფლებამ, რუსეთთან სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გაამარტივა, მაგრამ რუსეთისგან ამას საპასუხო ნაბიჯები არ მოჰყოლია.

### 2003 წელი – რუსეთი, თბილისთან შეუთანხმებლად, ამარტივებს სავიზო რეჟიმს აჭარისთვის

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრთათვის, რუსეთმა გამარტივებული სავიზო რეჟიმის დაწესების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მოსკოვში ჩავიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის „პატარა დიქტატორი“, თბილისის მიმართ დაუმორჩილებლობით გამორჩეული ასლან აბაშიძე.**

2003 წლის 8 დეკემბერს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს გადაწყვეტილება თბილისთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე გაახმაურა.

**„ეს გადაწყვეტილება ცალმხრივად არის მიღებული და საქართველოს სუვერენიტეტის უხეში დარღვევაა“**, – აცხადებდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2004 წლის 6 მაისს, „აჭარის რევოლუციად“ წოდებული მოვლენების შემდეგ, ასლან აბაშიძემ რუსეთს შეაფარა თავი.

### 2004 წელი – რუსეთი კეტავს ლარსის გზას, მოსკოვში თვითმფრინავით ჩასულ ქართველებს უკან აბრუნებენ

**2004 წლის სექტემბერში, როდესაც ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზა გადაკეტა, რუსეთმა მიზეზად ბესლანის სკოლაში მომხდარი სისხლიანი მოვლენები დაასახელა. ამავე პერიოდში, საქართველოში მასობრივად უკან აბრუნებდა მოსკოვში თვითმფრინავით ჩასულ ქართველებს, თითქოსდა, სავიზო დოკუმენტების მოუწესრიგებლობის გამო.**

სექტემბერში, რუსეთის საელჩომ საქართველოს პარლამენტს გაუგზავნა ზევრისთვის გაუგებარი ახსნა-განმარტების ტექსტი, რომლის თანახმადაც, საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვრის გადაკვეთის წესები არ არის სათანადოდ დარეგულირებული და სწორედ ამ მიზეზით შეფერხდნენ საქართველოს მოქალაქეები. ექსპერტები მაშინ განმარტავდნენ, რომ ეს სრულიად დაუსაბუთებელი მიზეზი იყო.

### 2006 წელი – რუსეთი აღარ გასცემს ვიზებს, აჩერებს მიმოსვლას, აძევებს ქართველებს, აწესებს ეკონომიკურ ემბარგოს

**მიზეზად მაშინ ე.წ. ჯაშუშების სკანდალი – გრუ-ს ოთხი ოფიცრისა და მათი ქართველი თანამზრახველების დაკავება – დასახელდა. რუსეთის საელჩოში შეწყდა სამოგზაურო ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებისთვის და მოსკოვმა თბილისიდან ელჩი გაიწვია.**

თბილისმა დაკავებული რუსი ოფიცრები ეუთოს მისიას გადასცა. 2006 წლის ოქტომბერში რუსეთმა შეაჩერა როგორც საავიაციო, ასევე საავტომობილო, საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლა საქართველოსთან. ფრენები, 2008 წელს, რამდენიმე თვით აღდგა, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ მალევე კვლავ შეწყდა.

2006 წელს რუსეთიდან ეთნიკური ნიშნით სატვირთო თვითმფრინავებით გამოაძევეს ათასობით ქართველი. ამ პროცესში რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. დეპორტაციასთან დაკავშირებული საქმე საქართველომ რუსეთს სტრასბურგის სასამართლოში მოუგო. 2006 წელს რუსეთმა ასევე დააწესა ემბარგო ქართული პროდუქციის იმპორტზე.

### 2008 წელი – მოჩვენებითი დათბობა, ომი, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა

**აგვისტოს ომამდე, აპრილში, პუტინმა რუსეთის მთავრობას დაავალა, რომ მოემზადებინა ნიადაგი საქართველოსთან სავიზო შეზღუდვების გაუქმებისა და ქართული საქონლის რუსეთის ბაზარზე დასაბრუნებლად. მაგრამ იმავე თვეში – მთავრობას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებთან პირდაპირი ურთიერთობების დამყარება დაევალა.**

რუსეთს წლების წინ ჰქონდა დაწყებული რუსული პასპორტების გაცემა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. 2008 წელს, ომის შემდეგ, საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. შეწყდა ავიამიმოსვლა; რუსეთმა სავიზო მიმოსვლის პირობები კიდევ უფრო გაამკაცრა. ავიამიმოსვლა, თავდაპირველად ჩარტერული რეისებით, 2010 წლიდან აღდგა.

საქართველომ რუსეთს სავიზო რეჟიმი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაუწესა და 2012 წელს თავადვე გააუქმა, რასაც რუსეთის საპასუხო ნაბიჯი არ მოჰყოლია.

მანამდე, 2010 წელს, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, საქართველოში შემოსასვლელად ვიზები გაუქმდა მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში შემავალი შვიდი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკის მკვიდრთათვის. ესენია: ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილოეთი ოსეთი, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ადიღეა. მათ საქართველოში 90 დღის განმავლობაში დარჩენის უფლება მიეცათ. ამ გადაწყვეტილებამ გააღიზიანა რუსეთი.

### 2013 წელი – ვიზების გაუქმების დაპირებები

**პრეზიდენტი და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები უფრო ხშირად მიანიშნებდნენ, რომ არსებობდა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის მთლიანად გაუქმების პერსპექტივები. ამ დროს საქართველოს ხელისუფლებაში უკვე იყო „ქართული ოცნება“ – რუსეთთან დათბობისა და არგაღიზიანების პოლიტიკით.**

თუმცა რუსეთის მიერ დემონსტრირებულად შერბილებული პოლიტიკა ბევრმა ანალიტიკოსმა მაშინ კვლავ საქართველოს ევროპული პერსპექტივის ხელის შეშლის სურვილს დაუკავშირა. კერძოდ – ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებასა და პროცესების დაჩქარებას ამ შეთანხმების ხელმოწერისთვის.

### 2014-2015 წელი – ვიზების მიღების გამარტივება

**„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაციის მიმდინარე პროცესის კონტექსტში და ჩვენს ქვეყნებს შორის პოზიტიური ტენდენციების სტიმულირების მიზნით“** – ასე ახსნა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი გადაწყვეტილება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ.

გადაწყდა, რომ 2015 წლის მიწურულს უკვე გაფორმდებოდა „საქმიანი, სამუშაო, სასწავლო და ჰუმანიტარული ვიზები ნებისმიერი ოდენობით, ასევე კერძო ვიზები, ნათესაური კავშირის მიუხედავად მომწვევსა და მიწვეულს შორის“.

2015 წელს, სერგეი ლავროვმა გაიმეორა, რომ საქართველოს თავს აფარებენ „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლები, „რათა ივარჯიშონ, დაისვენონ და შეივსონ მარაგები“; მაგრამ ამ შეფასებას, 2000 წლისგან განსხვავებით, სავიზო რეჟიმის არა გამკაცრება, არამედ გამარტივება მოჰყვა. მანამდე, 2014 წლიდან, რუსეთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ სავიზო რეჟიმს ჯერ მხოლოდ გადამზიდავებს გაუმარტივებდა.

### 2019 წელი – ფრენები ისევ აიკრძალა

**8 ივლისიდან რუსეთის პრეზიდენტმა კვლავ აკრძალა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის. ეს მოხდა ე.წ. გავრილოვის ღამის შემდეგ, როდესაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში რუსი კომუნისტი დეპუტატის, სერგეი გავრილოვის ხილვით აღელვებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა. სერგეი გავრილოვი 20 ივნისს თბილისიდან გააძევეს.**

მას შემდეგ, მოსკოვმა არაერთხელ განაცხადა, რომ პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა „რუსოფობებისა და რადიკალების“ ქმედებების სათანადოდ აღკვეთის შემთხვევაში აღდგებოდა. რამდენიმე თვით ადრე, პრეზიდენტ პუტინის 10 მაისის, საქართველოსთვის ვიზების გაუქმებისა და პირდაპირი რეისების დაშვების ორი განკარგულების გამოცემამდე, მოსკოვმა საქართველოს ხელისუფლების საჯარო ქება დაიწყო. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი „ქართული ოცნების“ მხრიდან დასავლეთთან „ვაჟკაცურ“ წინააღმდეგობაზე ამახვილებდა ყურადღებას.

* * *

**„ქართული ოცნება“ პუტინის გადაწყვეტილებას მიესალმება. რუსეთის ამ ნაბიჯს „პროვოკაციული“, და „საქართველოს ევროპული პერსპექტივის დამაზიანებელი“ უწოდეს როგორც ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა, ასევე საქართველოს პრეზიდენტმა და სამოქალაქო საზოგადოებამ.**

**წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დამთმობი, მოჩვენებითი ნაბიჯებით, მოსკოვი ცდილობს გაზარდოს საქართველოს დამოკიდებულება რუსეთზე, რასაც შემდეგ, ნებისმიერ დროს, სადამსჯელო ბერკეტად გამოიყენებს და მით უფრო მაშინ – თუკი საქართველო აქტიურად გააგრძელებს სვლას ევროკავშირისკენ.**

**საერთაშორისო პარტნიორები აფრთხილებენ საქართველოს, რომ არ დაჰყვეს რუსეთის პროვოკაციას და არ გადადგას თავისივე მომავლისთვის სახიფათო ნაბიჯები.**

**ლელა კუნჭულია,**
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.



# ახალ აეროპორტს სახელმწიფო ააშენებს!

**საქართველოს მთავრობა თბილისთან ახლოს საერთაშორისო მნიშვნელობის ახალი აეროპორტის აშენებას აპირებს. საკითხი გადაწყვეტილია და მთავრობის წევრები უკვე გეგმებზეც თამამად საუბრობენ. თბილისის მთავარ საჰაერო ლოკაციას განვითარების პერსპექტივა უკვე ნაკლებად აქვს.**

კონკრეტული ინფორმაცია მინისტრების დონეზე ვრცელდება. მაგალითად, ფინანსთა მინისტრი პროექტის მნიშვნელობას იმით ხსნის, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტი განვითარების მაქსიმალურ პარამეტრს უახლოვდება და აუცილებელია ქვეყანას ავიაციის სექტორის გრძელვადიანი განვითარებისთვის კიდევ ერთი ალტერნატიული აეროპორტი გააჩნდეს.

ჯერჯერობით თბილისის გარშემო ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა შეზღუდულია, რადგან ამას „ტავ ურბანთან" არსებული ხელშეკრულება ითვალისწინებს. თბილისის აეროპორტის გარშემო 200 კილომეტრის რადიუსში საერთაშორისო ფრენების განხორციელება აკრძალულია, ხოლო ხელშეკრულება კი 2027 წლამდეა ძალაში.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გიორგი კაკაურიძე** ამბობს, რომ ახალი დიდი პროექტისთვის შესაბამისი სახსრების გათვალისწინება, არც წლევანდელ და არც 2024 წლის ბიუჯეტში არ მოხდება.

ეკონომიკის მინისტრი კი პირდაპირ ადასტურებს, რომ თბილისთან ახალ აეროპორტს სახელმწიფო ააშენებს, შემდეგ კი ჯანსაღი კონკურენციის პრინციპით, გამოცდილი ოპერატორი კომპანია შეირჩევა, რომელიც შეიძლება თბილისისა და ბათუმის დღევანდელი ოპერატორი „ტავ ჯორჯია" ან სხვა კომპანია იყოს. ახალი აეროპორტის მშენებლობაზე მუშაობა დაწყებულია და „აეროპორტების გაერთიანებამ" ახალი ლოკაციის შესწავლა უკვე დაიწყო.

**„ის ამბიციები, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია ეკონომიკური განვითარების კუთხით, ბევრად აღემატება იმ შესაძლებლობებს, რომელიც ამ აეროპორტებს გააჩნია. ჩვენი გათვლები შემდეგ 10 წელიწადში 10 მლნ მგზავრზე მეტია. გრძელვადიან პერსპექტივაში ხდება აეროპორტების განვითარების დაგეგმვა და ამ შემთხვევაში ჩვენი გეგმა 2050 წლამდე ხედვაა, მათ შორის თბილისის აეროპორტის განვითარებით.**

**დეტალური შესწავლის შემდეგ დავინახეთ, რომ არსებული აეროპორტი ვერ უპასუხებს განვითარების მასშტაბებს, ამიტომ ახალი ლოკაციის შესწავლა დავიწყეთ. აეროპორტების გაერთიანების მხრიდან მიმდინარეობს მუშაობა ახალი ლოკაციის დეტალურ შესწავლაზე, მათ შორის ნავიგაციის კუთხით"**, – განაცხადა დავითაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრმა ისიც თქვა, რომ ახალი აეროპორტის მშენებლობას სახელმწიფო თავად გეგმავს. რაც შეეხება ოპერატორ კომპანიას, იგი ჯანსაღი კონკურენციის პირობებში შეირჩევა.

**„ეს არ არის მარტივი და ერთდღიანი პროცესი. იცით, რომ „ტავ"-თან შეთანხმება გვაქვს 2026 წლის ბოლომდე. 2027 წლის დასაწყისში თბილისსა და ბათუმში მთავრდება ხელშეკრულებები. ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ იმაზე, რომ ქვეყანამ თავად განავითაროს აეროპორტი და ეს, ალბათ, არის სწორი, პრაგმატული მიდგომა, როგორც აეროპორტების ისე სხვა მიმართულებებით. ეს არ გამორიცხავს, რომ ოპერირების ნაწილში ჩვენ გვყავდეს პროფესიონალი კომპანიები, შეიძლება იყოს „ტავ"-იც ან სხვა, რომელიც ღია კონკურენციის პირობებში შეირჩევა"**, – განაცხადა დავითაშვილმა.

სპეციალისტებმა კი იმ ტერიტორიებზე გაამახვილეს ყურადღება, სადაც ახალი აეროპორტი შეიძლება აშენდეს. ასეთი უშუალოდ თბილისშიც არის და ცოტა მოშორებითაც. ავიაექსპერტი **იასე ზაუტაშვილის** ინფორმაციით, ეს საკითხი ადრეც იყო შესწავლილი.

**„რამდენიმე ვარიანტია და როგორც მახსოვს, ადრეც იყო ეს საკითხი შესწავლილი. შეგვიძლია ვიფიქროთ ყოფილი ვაზიანის სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე. ასევე, მარნეულისკენ არსებული ტერიტორია, სადაც შეიძლებოდა აეროპორტის აშენება და ამიტომ, შესაძლოა, ეს ვარიანტიც განიხილონ.**

**პირადად მე ვამჯობინებდი ვაზიანის ტერიტორიას, რომელიც შესწავლილიც არის, გათვლილიც და ზოლიც არსებობს, უბრალოდ, აღდგენა სჭირდება. თბილისის აეროპორტიდან 10-15 კმ-შია და მის ირგვლივ არც ხევია, როგორც თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე, რაც ზღუდავს ასაფრენის ბილიკის სიგრძეს"**, – განმარტა ზაუტაშვილმა.

**ბექა დანელია**




15 მაისი ოსური ენის დღე იყო. იუნესკომ ოსური გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფ ენებს შორის დაასახელა. „ეხო კავკაზამ" ცხინვალელებს ჰკითხა, თუ რომელ ენაზე ლაპარაკობენ უმეტესად და მიაჩნიათ თუ არა, რომ ოსური მართლაც გაქრება?!

# „ჩვენ შეიძლება ოსური დაგვავიწყდეს"

**აზა:** „რუსულად და ოსურად ერთნაირად ვლაპარაკობ. სამსახურში, რა თქმა უნდა, უფრო რუსულად, მაგრამ ხანდახან სტუდენტები მთხოვენ: „შეძლება ოსურად გიპასუხოთ?" ამ დროს ვეუბნები, რომ ქულასაც კი დავუმატებ. სახლში ვცდილობთ მშობლიურ ენაზე ვისაუბროთ, მით უფრო, რომ ჩემი ნაცნობებიც ოსურად ლაპარაკობენ.

მეც მგონია, რომ ოსური ენა შესაძლოა გაქრეს. ხშირად მესმის, რომ ბავშვები ერთმანეთში რუსულად ლაპარაკობენ. როცა ჩხუბობენ და ილანძღებიან, მაშინაც რუსულზე გადადიან. მგონია, რუსულად უფრო უადვილდებათ, თუმცა, მშობლიური ენაც იციან".

**მარინა:** „ვცდილობთ ოსურად ვილაპარაკოთ. ეს თემა სამხრეთ ოსეთისთვის ძალიან აქტუალურია. არ მესმის იმ ოსების, ოსური რომ არ იციან. ჩემი გოგო აქაური არ არის, სკოლაში და ბაღში ვლადიკავკაზში დადიოდა. მაგრამ ახლა მოვთხოვეთ, ოსური ისწავლოს. მის გამო სახლში მხოლოდ ოსურად ვსაუბრობთ. ოსური ენა საფრთხეშია. თუ მშობლები არ შეეცდებიან, შვილები პროფილურ უმაღლეს სასწავლებლებში გაუშვან, ოსური ენა შეიძლება დავიწყებას მიეცეს. თუ ოჯახებში პატრიოტები არ იქნენ, როგორც ერი დავიკარგებით".

**რიმა:** „სახლში ოსურად ვლაპარაკობ. სამსახურში რუსულად მიწევს ურთიერთობა, რადგან საქმის წარმოება რუსულად არის. ზოგ მეგობარს რუსულად ველაპარაკები, რადგან ისინი ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობენ. იგივე შემიძლია ვთქვა იქაურ ნათესავებზეც. აქაურებთან ოსურად ვლაპარაკობ. ოსური ენა გადაშენების საფრთხის ქვეშაა. ამაზე განგაში უნდა ავტეხოთ".

**არინა:** „ჩემი და ჩემი მშობლების თაობა ძირითადად ოსურად ლაპარაკობს. სანამ სასწავლებლად რუსეთში არ წავედი, არც შემიმჩნევია რამდენად ხშირად ვსაუბრობ მშობლიურ ენაზე. პატარა ბავშვები, სკოლის და სკოლამდელი ასაკისები, შეცდომებით, მაგრამ რუსულად ლაპარაკობენ. მგონია, რომ მხარდაჭერაა აუცილებელი. ჩვენი ენა საფრთხეშია. ჩვენს ენას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს".

**ალინა:** „უფრო რუსულად ვლაპარაკობ, ქუჩაშიც და სამსახურშიც. ბავშვებს ოსურადაც ველაპარაკები და რუსულადაც. მათ ოსური ურჩევნიათ. მე ბავშვობიდან რუსულად ვსაუბრობდი და შეიძლება ითქვას, ოსურად ლაპარაკს ბავშვებმა შემაჩვიეს. ერთხელ უფროსმა შვილმა შენიშვნაც კი მომცა, უფრო სწორად, მკითხა: „დედა, შენ რა, რუსი ხარ?" სამი ბიჭი მყავს, ისინი ქუჩაში ოსურად ლაპარაკობენ. ჩემს მეგობრებსაც ოსურად ელაპარაკებიან, მეზობლებსაც. ისიც კი შევამჩნიე, რომ მეგობრების თანდასწრებით მეც ოსურად მელაპარაკებიან. მათთვის ოსურად ლაპარაკი უფრო ფასეულია. სკოლაში საკმარისი საათებია ოსური ენის, პედაგოგებიც მოწადინებულები არიან. ბავშვებს ოსური უყვართ. თუ სკოლებში ყოველთვის ასწავლიან ოსურს... დაე, ყველა ენა ისწავლონ, ყველას აითვისებენ, ოსურსაც, რუსულსაც, ინგლისურსაც".

# რუსეთის ცბიერი ფანდი საქართველოსთვის: სოხუმი და ცხინვალი – დამოუკიდებლობის ფასად?

**სანამ რუსი ოკუპანტები „ქართულოცნებისეული" მშვიდობის პირობებში დე ფაქტო საზღვრის სიახლოვეს საქართველოს მოქალაქეების გატაცებებსა და ე.წ. ბორდერიზაციას განაგრძობენ, ხოლო ოკუპირებულ აფხაზეთში (რომ აღარაფერი ვთქვათ ფაქტობრივად დანებებულ ცხინვალის რეგიონზე) მოსკოვი, იქაური მოსახლეობის უდიდესი ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, ენერგიულად ახორციელებს ანექსიის გეგმას, თბილისში მმართველი ძალის წარმომადგენლები ტროლ-ბოტების არმიითურთ კვლავ სიტყვასიტყვით იმეორებენ კრემლის სადეზინფორმაციო-პროპაგანდისტულ ნარატივებს, დღითი დღე სულ უფრო გაბედულად იხსნიან ვითომ პროდასავლელობის გაცვეთილ ნიღაბს, სულ უფრო მეტად უწყობენ ხელს საქართველოში რუსეთის ეკონომიკურ ექსპანსიას, ამავდროულად, ლუბიანკისეული „არგუმენტებით" სულ უფრო ხისტად უპირისპირდებიან ცივილიზებულ სამყაროს, რითიც ქვეყანას დასავლელ პარტნიორებს საბოლოოდ უკარგავენ, პუტინის აგრესორი სახელმწიფოს პირისპირ მარტოს, დაუცველს ტოვებენ და ამ ნოყიერ ნიადაგზე საქართველოს მოსახლეობისთვის ნელ-ნელა განსაკუთრებით საშიში მორიგი სიცრუის შემოპარებაც დაიწყეს: თითქოს თბილისის „პრაგმატული" პოლიტიკის სანაცვლოდ რუსეთმა, რომელიც „დათმობაზე წამოვიდა", საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა და პირდაპირი ფრენების აკრძალვაც მოგვიხსნა, შემდეგ ნაბიჯად შესაძლოა, აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვიბრუნოს.**



ეს თემა ორიოდე დღის წინ, მაგალითად, დეპუტატ ირაკლი ზარქუას იმ განცხადებაშიც ჟღერდა, რომლითაც „ოცნების" წევრი სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და ფრენების აღდგენას ეხმიანებოდა: „შემდეგი კარგი ნაბიჯი იქნება რუსეთის მხრიდან, აფხაზეთი დააბრუნოს, მესამე მნიშვნელოვანი ნაბიჯი – ოსეთი დააბრუნოს. ეს არის სწორი მიდგომაო".

ვიხილეთ ასევე კოტე ზარნაძის მიყოლებით ორი ფეისბუქ-პოსტიც: (...) სწორი პოლიტიკით აფხაზეთსაც დავიბრუნებთ და სამაჩაბლოსაცო".

სწორი პოლიტიკით - დიახ, მაგრამ რამდენად სწორია სინამდვილეში საქართველოს მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკა როგორც ოკუპირებულ რეგიონებთან, ისე რუსეთთან მიმართებაში და არსებობს კი რაიმე რეალური საფუძველი, მსგავსი პოლიტიკის საპასუხოდ ოკუპანტი ქვეყნის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს „კეთილი ნებით" დაბრუნების იმედი ვიქონიოთ? - სამწუხაროდ, არავითარი! „ქართული ოცნების" პოლიტიკა კი, მათ შორის განსაკუთრებით ანტიდასავლური ვექტორი, რეალურად, მხოლოდ გვაშორებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას.

იხ. 8 გვ.

# ჩინეთი – ახალი ურდო რუსეთისთვის?!



**ერთ დროს ერთად შეყრილი ჩინეთი და რუსეთი გაიყარნენ. რუსეთში ძალიან კარგად აცნობიერებენ, რომ ჩინეთის სახით კარგავენ პარტნიორს და იძენენ ბატონს. ჩინეთი რომ რუსეთს დაშორდებოდა და პეკინსა და მოსკოვს შორის არ იქნებოდა მტკიცე მოკავშირეობა, ეს იმთავითვე იგრძნობოდა. აზიის ეს დიდი ქვეყანა რუსეთის ხათრით ვერ დათმობდა დასავლეთის ბაზარს, რადგან ჩინეთის ეკონომიკა სწორედ დასავლეთზე იყო და არის დამოკიდებული.**

უბრალოდ, გარკვეული დროის განმავლობაში ჩინეთი რუსეთის მოკავშირე აღმოჩნდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ევროპელი ლიდერები ერთი-მეორის მიყოლებით სტუმრობდნენ ჩინეთის პრეზიდენტ **სი ძინპინს,** ჩინეთმაც პოზიცია შეცვალა და ანტირუსი გახდა. შემთხვევითი არაა, რომ სულ ახლახანს ჩინეთმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომლითაც უკრაინაში რუსეთის შეჭრა დაგმო და რუსეთი აგრესორად მოიხსენია.

სუსტი რუსეთი ჩინეთისთვის საჩუქარია. აქ არა მარტო რუსეთის სამხრეთით მდებარე ტერიტორიების მცოცავი ანექსია იგულისხმება ჩინელების მიერ, არამედ რუსეთის ენერგეტიკული რესურსებიც, რომელზეც ევროპა უარს ამბობს, ჩინეთი კი გაცილებით იაფად იძენს რუსულ ენერგორესურსებს. ჯერ კიდევ 2006 წელს გაცხადდა, რომ 200 მილიონამდე ჩინელი მზად იყო რუსეთში საცხოვრებლად გადასასვლელად. დღესაც ჩინური ექსპანსია რუსეთისთვის ახალ ურდოდ ითვლება, რომელიც რუსეთს შთანთქავს. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩინელების რაოდენობამ რუსეთში 2 მილიონს გადააჭარბა.

რუსეთ-უკრაინის ომის მსვლელობისას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩინეთი მოსკოვს ერთგულებას უმტკიცებდა. ჩინეთის უნივერსიტეტებში ეწყობოდა სპეციალური მეცადინეობები სტუდენტებისთვის რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ „სწორი გაგების“ ჩამოსაყალიბებლად. ლექციებზე სტუდენტებს უმარტავდნენ, თუ როგორ მიაყენა დასავლეთმა წყენა რუსეთს და როგორ გააჩინა შეერთებულმა შტატებმა ომის ხანძარი რუსეთსა და უკრაინას შორის. ჩინეთის ლიდერები უკრაინის ომის დროს იმეორებდნენ კრემლის ნარატივს, რომ ომის წამქეზებელი შეერთებული შტატები იყო. ჩინეთი არ მალავდა, რომ ეწინააღმდეგებოდა ნატოს გაფართოებას. მოგვიანებით გაჩნდა ცნობა, რომ ჩინეთი იარაღის მიწოდებას გეგმავდა რუსეთისთვის, თუმცა ეს არ განხორციელებულა.

* * *

**რა გეგმები აქვს ჩინეთს რუსეთთან მიმართებით?!**

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** აცხადებს, რომ ჩინეთს თავისი ინტერესები და პრობლემები აქვს. „აუკუსი“ (ამერიკის, ინგლისის, ავსტრალიის ახალი კოალიცია) რომ შეიქმნა და გადაწყდა, რომ ავსტრალიისთვის ამერიკა ააშენებდა 5 წყალქვეშა ატომურ ნავს, ამაზე ჩინეთმა ერთი ამბავი ატეხა, რაში სჭირდება ავსტრალიას ატომური ნავიო.

**„ჩინეთის ტრადიციული პოლიტიკაა, რომ საკუთარ ინტერესებს პირველ რიგში აყენებს. ციმბირის 11 რეგიონში ადგილობრივ მოსახლეობაში ჩინელები უფრო მეტნი არიან, ვიდრე რუსები. ურალის იქით, სადაც მთელი წიაღისეულია, რუსი მოსახლეობა არც არის, იქ ჩინელები ცხოვრობენ, რადგან რუსები არ მუშაობენ, მარტო ლოთობენ, ჩინელები კი მიდიან და ნელ-ნელა იმ ტერიტორიებს ითვისებენ. ამიტომ რუსეთის პერსპექტივა ამ მხრივ თითქმის უიმედოა“,** – აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** არ ფიქრობს, რომ ჩინეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაციების ხანა იწყება, მისი აზრით, ეს არის აღმოსავლური დიპლომატიური ვირეშმაკობა და ჩინეთი აჩვენებს თავის მნიშვნელობას, მარკას იწევს. ამავდროულად, ძალაში რჩება ჩინეთის ინიციატივა უკრაინაში კონფლიქტის მოგვარების თაობაზე.

**„ამას წინათ ჰენრი კისინჯერის საინტერესო განცხადება იყო ჩინეთთან დაკავშირებით. მართალია, კისინჯერი ასი წლისაა, მაგრამ სერიოზული ფიგურაა და მისი მოსაზრება ანგარიშგასაწევია. კისინჯერი ამბობს, რომ, სწორედ ჩინეთის ჩართვა იქნება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დასრულების ერთ-ერთი მთავარი ნიშანი. ეს ნიშნავს, რომ თუ ჩინეთი შუამავლის როლს იკისრებს, კონფლიქტი დასასრულისკენ წავა. კისინჯერი ვარაუდობს, რომ ეს წლის ბოლომდე მოხდება. რა თქმა უნდა, ჩინეთი გარკვეულ საერთაშორისო პოზას იჭერს, რომ ის რუსეთის მომხრე კი არ არის და დანაშაულის მხარდაჭერას კი არ აპირებს, არამედ მისი ინტერესი მშვიდობა და ამ ომის დასრულებაა. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ ჩინეთის როლი და მნიშვნელობა იზრდება“,** – განაცხადა **დავით ზარდიაშვილმა**

**მანანა ნოზაძე**

# რუსეთის დამღუპველი ფანდი საქართველოსთვის: სოხუმი და ცხინვალი – დამოუკიდებლობის ფასად?

(მეშვიდე გვერდიდან)

ის, თუ რატომაა ასე, „აქცენტთან“ საუბრისას რეინტეგრაციის საკითხთა ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა, კონფლიქტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა განმარტა. იგი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების პოზიციონირებას დემაგოგიურად მიიჩნევს, გზავნილს – პროპაგანდისტულად, მიზანს კი მოსკოვთან მიმართებაში თბილისის პოლიტიკით გაღიზიანებული ქართველი საზოგადოების დაშოშმინებასა და მორიგი ილუზიის შექმნაში ხედავს. კონფლიქტოლოგი დარწმუნებულია, რომ **რუსეთს საქართველოს თავის წიაღში დაბრუნება აქვს განზრახული და არა საქართველოსთვის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება**.

ზაქარეიშვილი საქართველოს კონფლიქტების ხასიათზე, ისტორიაზე ამახვილებს ყურადღებას და შეახსენებს როგორც მსგავსი პროპაგანდისტული გზავნილების ავტორებს, ისე ქართველ საზოგადოებას, რომ „რუსეთი რასაც იღებს, არასოდეს აბრუნებს – ეს მისი იმპერიული ბუნებაა“.

**„რუსეთს არაფერში სჭირდება, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს დაუთმოს. ტყუილია, დემაგოგია და პროპაგანდა, თითქოს ახლა რაღაც პირობები იქმნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ვინც ამას ამბობს, წარმოდგენა არ აქვს, როგორ წარმოიშვა ჩვენი კონფლიქტები, როგორ „აფათურებდა“ ამაში ხელებს რუსეთი, როგორ აფართოებდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ნაპრალებს, რომელიც მანამდე არსებობდა.... კეთილი უნდა ინებონ (ხელისუფლებამ – რედ.) და შეისწავლონ ეს ყველაფერი! მაშინ ისიც ეცოდინებათ, რომ რუსეთი არასდროს დაგვითმობს იმას, რაც მას თავად სჭირდება“,** – განაცხადა კონფლიქტოლოგმა.

იმის დასტურად, რომ რუსეთი ნებით საქართველოსთვის არავითარი ტერიტორიების დაბრუნებას არ გეგმავს, იგი ოკუპირებულ რეგიონებში მოსკოვის ბოლოდროინდელ ანექსიურ პოლიტიკაზე ამახვილებს ყურადღებას:

**„რუსეთი ყველანაირად ცდილობს, მიიბას აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, მათ შორის - კანონმდებლობით. აფხაზები უფრო წევენ წინააღმდეგობას, ვიდრე ოსები: აფხაზეთში რუსებმა დღემდე ვერ მოაგვარეს ბიჭვინთის ტერიტორიის მათთვის გადაცემის საკითხი, ისევე, როგორც სტრატეგიული ობიექტების, მიწისა და უძრავი ქონების მიყიდვის თემა.**

**ამ ფონზე მოსკოვი აღიარების საკითხით მანიპულირებს: აფხაზებს ილუზიას უქმნის, თითქოს მათ (ბელარუსები – რედ.) აღიარებენ და ამავდროულად, ამ საკითხებს მანიპულაციისთვის იყენებს თბილისთანაც. რუსეთს რომ ამ რეგიონებში საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე სურდეს მოქმედება (ბელარუსის ავტორიტარ ლიდერს – რედ.) ალექსანდრე ლუკაშენკოს არ გაგზავნიდა ამასწინათ აფხაზეთში, ხოლო შემდეგ (აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერს – რედ.) ასლან ბჟანიას – მინსკში“.**

ზემოთთქმულის გათვალისწინებით, კონფლიქტოლოგი დარწმუნებულია, რომ შეუძლებელია, კონფლიქტები რუსეთის წიაღში მოვაგვაროთ, მათ გადასაჭრელად აუცილებელია საერთო ენის გამონახვა თავად აფხაზებთან, ოსებთან და „სწორედ ეს უნდა იყოს მთავარი ამოცანა და არა რუსეთზე ჩამოკიდება“:

**„საქართველო-რუსეთის კონფლიქტი, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ ჩვენ ასევე გვაქვს მოსაგვარებელი ურთიერთობები თავად აფხაზებთან და ოსებთან – ეს მნიშვნელოვანი ნაწილია. უნდა გვქონდეს მათთან პირდაპირი კონტაქტები. მათ უნდა დაინახონ საქართველოში ნორმალური სახელმწიფო. სხვა შემთხვევაში მუდმივად ვიქნებით რუსეთის სატელიტი და მოსკოვი იმას გააკეთებს, რაც სურს“.**

ამ კონტექსტში ზაქარეიშვილი საქართველოს ევროინტეგრაციის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ ბოლოდროინდელი პოლიტიკის პირობებში ევროინტეგრაციის კუთხით შექმნილი გამოწვევები მხოლოდ აშორებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას:

**„ტერიტორიების დაბრუნება მოხდება შერიგებით და სწორედ ევროკავშირის კონტექსტიდან გამომდინარე: თუ დავარწმუნებთ აფხაზებსა და ოსებს, რომ საქართველო ნამდვილად იქნება დემოკრატიული, ნორმალური ქვეყანა და ერთად შევძლებთ ევროკავშირში გაწევრიანებას. ბევრ აფხაზს ხომ საქართველო სწორედ რუსეთისგან დისტანცირებული, ევროპული აინტერესებს და არა რუსული, ბევრს უნდა ევროპა და ელოდება საქართველოს. ხოლო თუ საქართველო თავად მიდის რუსეთში, რა რჩებათ მათ? – დანებდნენ მოსკოვს? ამიტომაა, რომ ევროინტეგრაციის კუთხით არსებული გამოწვევები მხოლოდ გვაშორებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას!“.**

კონფლიქტოლოგის თქმით, უნდა გვესმოდეს, რომ „რუსეთისთვის ერთი „დეპარტამენტია“ უკრაინა, მეორე – კავკასია, მესამე – ცენტრალური აზია და მიმდინარე ომში უკრაინის გამარჯვება (რაც რეალურია) არ ნიშნავს, რომ რუსები ავტომატურად საქართველოდანაც გაიყვანენ ჯარებს – მათ შესაძლოა, პირიქით, გაამკაცრონ კიდეც პოლიტიკა“:

**„ეს ჩვენს პოლიტიკაზეა დამოკიდებული და არა რუსეთის „კეთილგანწყობაზე“. მაგრამ როგორია დღეს ჩვენი პოლიტიკა? – დასავლეთისგან დისტანცირება?! თუ „ქართული ოცნება“ ასე გააგრძელებს და მიაღწევს იმას, რომ კვლავ ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის გარეშე, მარტონი დავრჩებით, მაშინ ვეღარ შევძლებთ აფხაზებთან და ოსებთან საუბარს, რადგან აღარაფერი გვექნება მათთვის შესათავაზებლად და ისინი რუსეთთან საბოლოოდ ინტეგრირდებიან“.**

## პიტერ სიიარტო: უკრაინა უნგრეთის სუვერენიტეტს ემუქრება!



**უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, პიტერ სიიარტოს თქმით, უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის მილსადენ „დრუჟბას“ აფეთქება სურს, რომლის მეშვეობითაც უნგრეთს რუსული ნავთობი მიეწოდება.**

უნგრელი დიპლომატი ამბობს, რომ უკრაინა „უფრო და უფრო მტრულად ხდება განწყობილი უნგრეთის მიმართ“, ამის მაგალითად კი უკრაინის მიერ უნგრული ბანკის, ORP-ს ტერორიზმის სპონსორთა საერთაშორისო სიაში შეყვანას ასახელებს.

**„ენერგომომარაგების უსაფრთხოება სუვერენიტეტის საკითხია. ვინმე თუ ითხოვს უნგრეთის ენერგომომარაგების შეწყვეტას, ის რეალურად უტევს უნგრეთის სუვერენიტეტს“,** – აღნიშნა სიიარტომ.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრეთი დაბლოკავს უკრაინის ნებისმიერ სამხედრო დახმარებას, ვიდრე კიევი არ ამოიღებს უნგრულ ბანკს ომის სპონსორთა სიიდან.

## ოლაფ შოლცი: გერმანია უკრაინისთვის „ავიაგამანადგურებლების კოალიციაში“ მონაწილეობას არ მიიღებს



**„ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რასაც ვაკეთებთ. ეს ახლა ძალიან აქტუალურია უკრაინის თავდაცვის შესაძლებლობისთვის“,** – აღნიშნა გერმანიის მთავრობის ხელმძღვანელმა.

ოლაფ შოლცის განცხადებით, გერმანიამ უკვე აიღო შემდგომი ვალდებულებები ტანკების მიწოდების, იარაღის სისტემების მოვლის, საბრძოლო მასალების მიწოდებისა და საჰაერო თავდაცვის გაძლიერების მიმართულებით. პარალელურად, გერმანიის თავდაცვის მინისტრმა, ბორის პისტორიუსმა თქვა, რომ გერმანია ვერ ითამაშებს აქტიურ როლს საავიაციო კოალიციაში.

## ზელენსკი, იპოვე გზა ომის დასამთავრებლად!!!

**ამერიკელი ჟურნალისტის სეიმურ ჰერშის განცხადებით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის ჩუმად მოუწოდებენ, იპოვოს გზა ომის დასასრულებლად, თუნდაც ამისთვის გადადგომა მოუწიოს.**

სეიმურ ჰერში წერს, რომ ევროპის ქვეყნები უკრაინის პრეზიდენტს მოუწოდებენ, ქვეყნის აღდგენის პროცესი უზრუნველყოს. ჟურნალისტის თქმით, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით, ვოლოდიმირ ზელენსკი მოწოდებებზე არ რეაგირებს, მაგრამ მეზობლების პირადი მხარდაჭერის დაკარგვას იწყებს. მისი განცხადებით, **პოლონეთთან ერთად არიან უნგრეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი.**

# თემურ წიკლაური — კაცი, რომელიც დააკლდა საქართველოს!..

**...„რამდენი ჩვენგან წასული კაცის, ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს, მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც, კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“! – დაუვიწყარ გიორგი შავგულიძეზე თქმული მიხეილ ქვლივიძის ეს სიტყვები შეიძლება გავრცელდეს არა ერთ ღირსეულ და გამორჩეულ პიროვნებაზე, რომელთა შორის უდავოდ ყველასთვის ახლობელი და საყვარელი თემურ წიკლაურიც იგულისხმება. გონებაში, მის შესანიშნავ სიმღერასთან ერთად, მისი საუბარიც გვახსენებს თავს, რომელიც თავისი დამაჯერებლობით და პოეტურობით, სიმღერასავით ჟღერდა, „არწივისებური“ რიხით და ხავერდოვნებით.**

დაიბადა კოჯორში 1946 წლის 22 იანვარს. სკოლაში კარგად სწავლობდა, ალბათ იმიტომ, რომ მშობლები საოცნებო ველოსიპედის შეძენას დაჰპირდნენ. მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მისი ოცნება შეუსრულებელი დარჩა და სწავლაზეც გული აიყარა, თუმცა, ბუნებით კარგი ხმა აღმოაჩნდა. ნათელა პატარიძის მიერ ჩამოყალიბებულ სკოლის გუნდში დაიწყო სიმღერა. გუნდი ხშირად გამოდიოდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, სადაც არა ერთი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული.

თითოეული ჩვენგანის ბავშვობაში რაღაცისადმი ინტერესი იღვიძებს. ასე მოხდა თემურის შემთხვევაშიც. გიტარის დაკვრის სურვილი გაუჩნდა და სულ მალე დაკვრაც ისწავლა. რატომღაც მშობლები უყურადღებოდ ტოვებდნენ გიტარისადმი მის გატაცებას. ინსტრუმენტი ჩუმად შეიძინა და იქვე კოჯრის ტყეში მალავდა, სადაც თითქმის ყოველ დღე ადიოდა და ცდილობდა გაგონილის გამეორებას, ან თავისი ფანტაზიით შეთხზულ სიმღერებს მღეროდა.

1964 წელს თემურ წიკლაური უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ხდება. ამავე პერიოდში თბილისის ცენტრალურ უნივერმაღთან არსებულ ანსამბლში იწყებს სიმღერას. 1967 წლიდან იგი ანსამბლ „ცისციცინათელას“ სოლისტია, სადაც თავის მომავალ მეუღლეს ლილი ზღვაურს შეხვდა. ანსამბლთან ერთად სხვადასხვა კონცერტში, მათ შორის გასტროლებშიც იღებდა მონაწილეობას.

სიმღერამ საბოლოოდ დაისადგურა მის პიროვნებაში. ბრწყინვალე მონაცემები ჰქონდა: ძლიერი, ჟღერადი, შთამბეჭდავი ტემბრის ბარიტონი, რომელიც გამოირჩეოდა მუსიკალურობით, ნაწარმოების გემოვნებიანი შესრულებით.

ცნობილია, რომ სცენაზე გამოსვლამდე თითქმის ყველა ხელოვანი განიცდის ნერვიულ დაძაბულობას, მღელვარებას, პასუხისმგებლობას მაყურებლის წინაშე. ასეთ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შინაგან განწყობას, გარშემო მყოფთა დამოკიდებულებას და უამრავ სხვა რამეს. ასე რომ, სცენისადმი მღელვარება, ხელოვანის ერთგვარი ხვედრია. ამის შესახებ თემური აღნიშნავს: „სცენაზე გამოსვლა ყოველთვის მიჭირდა. მღელვარებისაგან მთლიანად ოფლში ვიწურებოდი, სასიმღერო ტექსტი მავიწყდებოდა. მეგონა, ხმაც დავკარგე, მაგრამ როგორც კი დავდგებოდი სცენაზე და ხმას ამოვიღებდი, ყველაფერი იცვლებოდა – მოდიოდა და მოდიოდა! ვერაფრით ავხსენი ეს ვითარება...

თემურ წიკლაურის სასიმღერო მონაცემებისადმი ინტერესი დიდი იყო. 1972 წელს იგი ანსამბლ „ივერიის“ სოლისტი ხდება, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გამორჩეულად ნიჭიერი და პროფესიონალი მუსიკოსი ალექსანდრე (ბუთხუზ) ბასილაია გახლდათ.

ნიჭიერმა კომპოზიტორმა ასევე ნიჭიერი ხალხი შემოიკრიბა, რამაც ანსამბლი „ივერია“ სულ სხვა რანგში და სიმაღლეზე აიყვანა. სწორედ აქ იპოვა თავისი ადგილი თემურმა, აქ იწყება აღმავალი შემოქმედებითი გზაც, აქ გამოიკვეთა მისი ინდივიდუალური საშემსრულებლო სახე. „ივერიასთან“ ერთად თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა.

ამ პერიოდში გაჟღერდა მისი საეტაპო სიმღერები: ნოდარ გიგაურის „ჩემი თბილისი და ფიროსმანი“, გიორგი ცაბაძის „საქართველოს მანანებო“, ალექსანდრე ბასილაიას „იყიდება საქართველო“, ვაჟა აზარაშვილის „დინამო“ და უამრავი სხვა. მას 40-ზე მეტი სიმღერა აქვს ჩაწერილი. „გოგი ცაბაძის სიმღერა „საქართველოს მანანებო“ ჩემი პასპორტია და ზეცაში რომ წავალ, ზეციურ საქართველოშიც ჩემი პასპორტი იქნება“, – ამბობდა მომღერალი. ამ სიმღერებმა მას ხალხში დიდი აღიარება და სიყვარული მოუტანა. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მისი მონაწილეობა ალექსანდრე ბასილაიას მიერ შექმნილ მიუზიკლებში: „ჩხიკვთა ქორწილი“, „ფიროსმანი“, „არგონავტები“ და „თოვლის ბებოს ზღაპარი“, სადაც თემურ წიკლაურმა – არწივის, ნიკო ფიროსმანის, მეფე აიეტის და გერვასის წამყვანი პარტიები შეასრულა. მომღერლის მიერ შესრულებული ეს სახეები დღესაც ცოცხლობს და დიდი ინტერესით სარგებლობს საზოგადოებაში, რადგან მხატვრულ-მუსიკალური თვალსაზრისით ჭეშმარიტ ხელოვნებას და მაღალ საშემსრულებლო გემოვნებას გამოხატავს.

**„სიმღერაზე დიდი ძალა არ არსებობს, მასში სიტყვას და მუსიკას ღვთიური ზემოქმედება შეუძლია. არც ერთ დარბაზსა და არც ერთ ადამიანს არ ახსოვს „ივერიის“ დამარცხება. „ივერიელები“ არასოდეს დამარცხებულან, არც სცენაზე და არც ცხოვრებაში. ამიტომ შეინარჩუნა ერთიანობა 40 წელზე მეტ ხანს“,** – აცხადებდა იგი.

ცხოვრებამ განსაცდელი მოუწყო ვაჟიშვილის გარდაცვალების გამო. ძნელად, მაგრამ მაინც შეძლო ბოლომდე არ გატეხილიყო, არ დაცემულიყო, ქვეყნის და ხალხის საქმე ეკეთებინა ერთგულად. შესაძლოა, ამას თავისმა სულიერმა ტკივილმაც უბიძგა. ვინ იცის?

რელიგიურ მიმდინარეობებში ეძებდა შვებას. წაიკითხა – დაოიზმი, ბუდიზმი, მუსლიმანური რელიგიის საფუძვლები. ბოლოს მართლმადიდებლობასთან მივიდა. ღმერთი იწამა, სტიქაროსანი გახდა. მხოლოდ ამის შემდეგ დამშვიდდა. მიხვდა, უფალმა თავისი შვილის წასვლით უფრო დიდი რაღაცისთვის მოამზადა. ამას ახალ-ახალი შემოქმედებითი წარმატებები მოყვა.

ვენესუელაში იყო გასტროლებზე თითქმის 6 თვე. საზღვარგარეთ დარჩენა შესთავაზეს, მსოფლიო სახელი გექნებაო! ვერ შეძლო, არ ქნა, თავისი სათაყვანებელი სამშობლო ყველაფერს ერჩივნა.

ბუნებით ბოძებული შინაგანი ენერგიით მდიდარმა და შთამბეჭდავმა ხმამ, რომელსაც ქართული ხასიათის ტემბრალური შეფერილობაც ახლდა, საშუალება მისცა სერიოზულად ეფიქრა კლასიკური ნაწარმოებების შესრულებაზე. ოპერა „ტრავიატადან“ ჟერმონის, ხოლო „აიდადან“ ამონასროს პარტიები მოამზადა, თუმცა ეს პერიოდი საქართველოში არეულობას დაემთხვა და მისი სურვილი ვერ განხორციელდა, მურმანის პარტია კი მაინც შეასრულა ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერიდან“ ბათუმის ოპერის თეატრში.

ცხოვრება ნებისმიერი ადამიანისთვის სიცოცხლის სტარტი და ფინიშია. თუ ფინიშამდე სიკეთის მთესველი და კაცურკაცობით ხარ გამორჩეული, მაშინ შეგიძლია თამამად ჩათვალო, რომ ამ ქვეყანაზე ტყუილად არ მოსულხარ. კეთილი საქმეების კეთება თემურ წიკლაურის შინაგანი მოთხოვნილება იყო. უდიდეს კმაყოფილებას განიცდიდა, როცა სასიკეთო საქმეს აკეთებდა. იერუსალიმში 600 $м^2$ მიწა შეიძინა ბიზნესმენ სოსო ხარებოვის დახმარებით, რომელიც საჩუქრად საქართველოს საპატრიარქოს გადასცა. შექმნა მზრუნველობამოკლებულ და სოციალურად დაუცველ ბავშვთა დახმარების საქველმოქმედო ფონდი „სოსლენდი“, სადაც 1500 ბავშვს ასწავლიდნენ უფასოდ, სწავლის შემდეგ 300-ზე მეტი ბავშვი დაასაქმეს.

ცრემლიანი იყო, მაგრამ ამას მაყურებელს არ აჩვენებდა. მის პიროვნებაში აშკარად რაინდული სული სჭარბობდა.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებები, დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით“.

თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გახსნილია თემურ წიკლაურის ვარსკვლავი. 2017 წელს მუსიკალურ კონკურსში მას „ოქროს მეგა“ გადაეცა.



გადაღებულია ფილმებში: „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „ივერია, სიყვარული და...“, „უმცროსი და“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „არგონავტები“, „ცხოვრება დონკიხოტისა და სანჩოსი“.

გარდაიცვალა 2021 წლის 1 თებერვალს COVID-19-ით გამოწვეული გართულებების შედეგად. დაკრძალულია კოჯორში შვილის გვერდით.

### ჯემალ ბაღაშვილი:

**„უდიდესი ტალანტი, ღირსებით აღსავსე, უღალატო მეგობარი იყო, სცენაზე ანსამბლურობისა და ტონის მიმცემი. მისი გავლენა „ივერიის“ წარმატებაში განუზომელია, რომლის გამორჩეული, მაღალი პროფესიონალიზმი, სასურველი მიზნების მიღწევის საშუალებას იძლეოდა. ჩვენ 60-წლიანი საქმიანი, შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა. იგი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, „ივერიის“ სინდის-ნამუსს წარმოადგენდა და ასეთად დარჩება მუდამ“.**

### ნუგზარ კვაშალი:

**„ორივე ანსამბლ „ივერიაში“ ვმღეროდით, რომელიც ერთი დიდი საძმო და სამეგობრო იყო. თემური ჩვენს შორის გამოირჩეოდა, სცენაზე რომ გამოვიდოდა, საოცარ ენერგიას ასხივებდა. ხალხი სიყვარულით ეგებებოდა, გრძნობდა მის ვაჟკაცობას, სისუფთავეს, გრძნობდა, რომ ის ნაღდი კაცი იყო. რაც უნდა ჩაეცვა, მაინც ნამდვილ არწივს ჰგავდა. სიტყვებს ვეძებ, ეს მძიმე ტკივილი როგორ გადმოვცე, მაგრამ არ არსებობს სიტყვა, რომლითაც ჩემს განცდებს ზუსტად გამოვხატავ. ამ ადამიანმა იმდენი სიკეთე დათესა, რომლის მსგავსს ბევრი ვერ შეძლებს. აცხონოს, უფალმა მისი წმინდა სული!“**

### გია ბურჯანაძე:

**„ის იყო კაცი, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი ამბიცია, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წლის განმავლობაში ამშვენებდა ქართულ სცენას. არ ყელყელაობდა იმით, რომ ძალიან ნიჭიერი და განსაკუთრებული იყო. არ ამაყობდა იმით, რასაც თავისი ინდივიდუალური ხელოვნებით მიაღწია“.**

* * *

**დაგოლოს, ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ გამორჩეული ნიჭის მქონე თემურ წიკლაურის შთამომავლებმა: ქალიშვილმა ქეთევანმა და შვილიშვილმა ანდრიამ თამამად უნდა იამაყონ მისი ბრწყინვალე, ყველასგან განსხვავებული, უნიკალური შემოქმედებით, რომელსაც არასოდეს არ უწერია გახუნება!..**

**გელა ქოქიაშვილი,**



ვოკალისტთა
კონკურსების
ლაურეატი, საქართველოს კულტურის
დამსახურებული
მუშაკი, მწერალი,
პუბლიცისტი,
მკვლევარი.

---

## პოეტის ერთი ლექსი

# გაზაფხული...

**თეთრი ქურქი**
**გაუხდიათ –**
**ქედებს,**
**ჭალებს,**
**მდელოს, – რახან,**
**ნაკადული აკისკისდა**
**და... მაყრული**
**შემოსძახა...**

**ცის**
**ლურჯ ტოტზე**
**მზე შემოჯდა, –**
**მორთო**
**კრიახ – კაკანი და**
**ყინვა,**
**სუსხი**
**შორს გაიქცა, –**
**ცხრა მთას იქით, –**
**კანკალითა....**

**ირგვლივ –**
**მწვანე აღაღანდა,**
**ნაძვსაც**
**ჩოხა ეძველება,**
**ტყე,**
**კორდები**
**შემოფიფქეს –**
**იებმა და**
**ენძელებმა...**

**ხევებს –**
**ნისლის**
**ბოლი ასდის,**
**სადღაც –**
**ზვავის ყოჩია და**
**თეთრი კაბით**
**იპრანჭება**
**მატრაკვეცა**
**ყოჩივარდა..**

**კაბადონი მოსარკულა...**
**ზოგან –**
**ღრუბლის მხედრებია,**
**მერცხლები კი –**
**საქორწილო**
**მახარობლებს ედრებიან...**

**სხივი**
**სხარტად დაჯირითობს**
**სივრცით**
**სუნთქავს**
**დრო შვებითა,**
**ატმები და**
**ალუბლები**
**ფეხზე დგანან**
**დროშებითა..**

**სიცოცხლის და**
**ნეტარების**
**ეს, – ციური**
**ხალისია,**
**თაფლს და**
**სანთელს**
**ვის მიართმევს? –**
**წერს ფუტკარი**
**ხვალის სიას...**

**დიდი დღესასწაულია, –**
**გაზაფხულო,**
**შენი მოსვლა, –**
**საზეიმოდ,**
**მთა და ბარი**
**ფერადებით**
**შეიმოსა!..**

**რა სჯობია:**
**ამ ცას,**
**როცა –**
**აფრქვევს ღიმილს**
**ნამად მზიანს,**
**მაგრამ...**
**ქვეყნის გაზაფხული**
**ასჯერ უფრო**
**ლამაზია!..**

**ნეტავ –**
**ჩავლილ ზამთარს**
**გაჰყვეს**
**დრო –**
**დაყოფით**
**დაზაფრული,**
**მალე დადგეს**
**საქართველოს**
**ერთიანი**
**გაზაფხული!..**



**ფარნა რაინა.**

თელავი-თბილისი

◉ ტრიუმფის შემდეგ



## ლაშა გუჯეჯიანი: „ჩვენს გუნდს ერთგულება, ერთიანობა, საქმისადმი უანგარო სიყვარული აძლიერებს“

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლაშა გუჯეჯიანმა** მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სოციალურ ქსელში ვრცელი წერილი გამოაქვეყნა.

როგორც მან თქვა, ამ ჩემპიონატზე მისი ოცნებებიც ასრულდა, ამ შედეგის უკან კი მრავალწლიანი დაუღალავი შრომა დგას.

**„2023 წლის ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც დოჰაში გაიმართა, დასრულდა. ერთი შეხედვით, ოფიციალური ინფორმაცია უდიდეს ემოციას იტევს. აქ, ამ ჩემპიონატზე პირადად ჩემი ოცნებებიც ასრულდა. როგორც მთავარი მწვრთნელი, უბედნიერესი ვიყავი, ფინალში ორი ქართველის შეხვედრა რომ გადაწყდა. უკვე აშკარა იყო, რომ ოქროც და ვერცხლიც საქართველოს საკუთრება გახდებოდა, მხოლოდ მფლობელთა ვინაობა უნდა გარკვეულიყო. ბუნებრივია, ამ შედეგს რამდენიმეწლიანი დაუღალავი შრომა დასჭირდა. ჩვენს გუნდს ერთმანეთის პატივისცემა, ერთგულება, ერთიანობა, საქმისადმი უანგარო სიყვარული აძლიერებს. ეს გამარჯვება კიდევ ერთი გამორჩეული მიღწევაა ძიუდოს ისტორიაში. გარდა ძიუდოისტთა თავდაუზოგავი შრომისა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართველი ხალხის გულშემატკივრობაც.**

**მადლობა ქართველ ხალხს გულწრფელი სიყვარულისა და გულშემატკივრობისთვის. ბედნიერი ვარ, რომ იმედები გავამართლეთ. ეს კი თითოეული ძიუდოისტის დამსახურებაა, მადლობა თითოეულ მათგანს.**

**განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენ გუნდს, ამ წარმატების შემოქმედებს,საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას, დავით ქევხიშვილს, გიორგი ათაბეგაშვილს, მწვრთნელთა საბჭოს: გურამ მოდებაძეს, ლომერ ჟორჟოლიანს, ამბაკო ავალიანს, გიორგი ბაინდურაშვილს,ნოდარ მეტრეველს, გიორგი ყიზილაშვილს, ირაკლი ცირეკიძეს, გიორგი თენაძეს,კახაბერ მოცრაძეს, ასევე სამედიცინო გუნდს ზურაბ კახაბრიშვილის ხელმძღვანელობით.**

**ჩვენ დიდ ოჯახს უზარმაზარი მიზნები და რესურსი აქვს, კიდევ ბევრჯერ გაახსენოს მსოფლიოს, რომ „ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელო, ის გადარჩა და სახელად ეწოდება საქართველო“. გაუმარჯოს ქართულ სპორტს, გაუმარჯოს ქართულ ძიუდოს“,** – დაწერა გუჯეჯიანმა.

შეგახსენებთ, რომ გუნდურ პირველობამდე საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი ინდივიდუალურ ტურნირში 4 მედლით დაასრულა: ტატო გრიგალაშვილმა და ლუკა მაისურაძემ ოქროს, ლაშა ბექაურმა ვერცხლის, ხოლო გიორგი სარდალაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ პირველად ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართული ფინალი შედგა (მაისურაძე-ბექაური), ასევე პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი გვყავს (გრიგალაშვილი) და ასევე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ერთ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ოქროს მედალი მოვიპოვეთ. გამოსარჩევია, რომ მამაკაცთა შორის, ქალთა შედეგებს თუ არ გავითვალისწინებთ, საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლით, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ასევე პირველად მოხდა. მეორე ადგილზე იაპონიის ვაჟთა ნაკრები გავიდა.

გარდა ამისა, შერეულ გუნდურ ბრძოლაში საქართველოს ნაკრებმა ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა, რაც ასევე პირველად მოხდა.

◉ ყინულზე

## კვალი ქართული



**ფინეთსა და ლატვიაში უკვე ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის 4 ტური მიილია, ბობოლებთან ერთად კი ლიდერთა მარაქაში შვეიცარიაც გაერია, რომელსაც ერთ-ერთ ფავორიტადაც მიიჩნევენ, რადგან ნჰლ-ის გადამწყვეტი პლეი-ოფების დასრულების შემდეგ ოკეანის გაღმიდან სოლიდური შევსების მოლოდინშია.**

აღსანიშნავია, რომ მორიგ ფორუმზე ქართული გვარიც გაჟღერდა. კერძოდ, ერთ-ერთი მასპინძლის – სუომისა და საფრანგეთის შეხვედრაში ანგარიში **ფლორიან შაკიაშვილმა** გახსნა, თუმცა საბოლოოდ მაინც ჩრდილოელებმა გაიმარჯვეს – 5:3.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფრანგულ რაგბიში მიშელ იაშვილმა მთელი ეპოქა შექმნა, ხოლო იქაურ თანამედროვე მეორე საფეხბურთო დივიზიონში ჟორჟ მიქაუტაძე და ზურიკო დავითაშვილი ბრწყინავენ, გასაკვირი არაფერია – ქართული დიასპორა ჩვენი ემიგრაციის სავანეში სპორტული ნიჭითაც გამორჩეულად რჩება.

◉ ლეგიონერი

## მეკარის დუბლი



**გიორგი მამარდაშვილის აღიარების პროცესი შეუქცევადი ხდება, რაც ამჯერად ლა ლიგის 34-ე ტურის საუკეთესო მოთამაშედ (სეზონში მეორედ!) დასახელებაში გამოიხატა.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების 22 წლის მეკარემ დიდი წვლილი შეიტანა პრიმერა-დივიზიონში დასარჩენად გაჩაღებულ ბრძოლაში ვალენსიას მიერ ვიგოში სელტას დამარცხებაში – 2:1, სადაც მეტოქის 5 დარტყმა მოიგერია და პარტნიორთა პირველი საგოლე შეტევა წამოიწყო, სულ კი მარათონულ ტურნირში უკვე 93 შესრულებული სეივი მოუგროვდა.

ალბათ, ლოგიკურიცაა, რომ ღამურების უკანასკნელი მეციხოვნის კარიერას თანდათან სულ უფრო ხშირად უკავშირებენ ინგლისის პრემიერლიგის კლუბებს, ბოლოს კი პორტუგალიური ფეხბურთის გრანდის – პორტუს ვარიანტმაც გაიჟღერა. მოკლედ, წინ ცხელი სატრანსფერო ზაფხულია.

◉ ჩემპიონთა ლიგა

## სტამბოლისკენ პერი, პერი

**რამდენიმე თვის წინათ სიმონე ინძაგის მოსახსნელად ჰქონდა საქმე, დღეს კი მისი გაწვრთნილი ინტერი ჩემპიონთა ლიგაში ცამეტწლიანი შესვენების შემდეგ ისტორიაში მეოთხე ტრიუმფის ზღურბლთანაა.**

უკვე რამდენჯერ დადასტურდა, რომ მთელი სეზონის ჩავარდნის გარეშე გავლა თითქმის წარმოუდგენელი ფუფუნებაა, ამიტომ დერბი მადონინასათვის ოპტიმალური კონდიციების აკრეფამ, რაც სერია-ა-ში ზედიზედ 5 გამარჯვებაში გამოისახა, ნერაძური პრინციპული წყვილის ფავორიტად აქცია. როგორც აღმოჩნდა, სავსებით საფუძვლიანად.

საპირისპირო სურათი იყო მეტოქის ბანაკში, რომელმაც მზადყოფნის პიკი ნაპოლისთან წინა საპლეიოფო ეტაპის დროს გაიარა და მოახლოებული ნანატრი სკუდეტოს მოლოდინში გამოფიტული ხვიჩა და კამპანია ორრაუნდიან დუელში პირწმინდად დაჩაგრა. ამას დაემატა მაშინდელი მოვლენების გმირის – ლეაოს ტრავმა და, მართალია, პორტუგალიელი საპასუხო შეხვედრაში პარტნიორებს დაუბრუნდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ბოლომდე მოუშუშებელი ლიდერის შთაბეჭდილება დატოვა და, რაც მთავარია, მილანის მატარებელს ერთი კვირის წინათ ჩამოევლო, როცა ნომინალურმა სტუმრებმა პირველი მატჩის შემდეგ ორბურთიანი სოლიდური ფორა შეიქმნეს – 2:0.

### ინტერი – მილანი 1:0

**გოლი: ლაუტარო მარტინესი.**

ერთი ქალაქის ორი გუნდი ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ევროტურნირში მესამედ შეეჯახა ერთმანეთს და მომავალმა ფინალისტმა პირველად მოიპოვა წარმატება. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა შევჩენკოს ეპოქაში, როცა ყველაფერი უკრაინელი ბომბარდირის გოლმა გადაწყვიტა – 0:0, 1:1 (მარტინსის საპასუხო ზუსტმა გასროლამ მასპინძლებს ვერ უშველა), ხოლო მეორე შემთხვევაში თამაში შეწყდა და როსონერის ტექნიკური მოგება ჩაეთვალა – 3:0.

მოკლედ, ამჯერად ყველაფერი ნავსის გატეხვით და, რაც მთავარია, კანონზომიერად დასრულდა – ინტერი მოცემულ მომენტში აშკარა უპირატესობას ფლობდა და ოდნავადაც კი არ გაუხდია საბოლოო წარმატება სათუო.

### სიტი – რეალი 4:0

**პირველი მატჩი – 1:1**

ლიგის 14-გზის გვირგვინოსან სამეფო კლუბს მართლაც რომ მონარქის სადარი კოშმარული საღამო მოუწყვეს ქალაქელებმა, ხოლო ორგზის ტრიუმფატორმა პეპ გვარდიოლამ, რომელიც უკვე 14 წელია ვერ ახერხებს ტახტზე კიდევ ერთხელ ასვლას, ტაქტიკური დუელი დამამცირებლად მოუგო ტიტულის ოთხგზის მფლობელ კარლო ანჩელოტის. განწირულ პირენეელებს ვერც მეკარე კურტუას გმირობამ უშველა, ვინც ურთულესი დარტყმები მოიგერია ჰოლანდისგან: **გოლები:** ბერნარდო სილვა (2), მილიტაო (საკუთარ კარში), ალვარესი. მაშ ასე, 10 ივნისს სტამბოლში ფინალია: ინტერი – სიტი.



◉ ოკეანის გაღმა

## სერბული სიმფონია

**როცა რეგულარული სეზონის დასრულების შემდეგ MVP-ის ტიტული ჟოელ ემბიიდს მიანიჭეს, ბევრმა გაოცებისგან მხრები აიჩეჩა, რომ დენვერის სერბი უნივერსალი ნიკოლა იოკიჩი რატომღაც დაჩაგრეს.**

ასეთ პოზიციაში ჭეშმარიტების მსუყე მარცვალი რომ მართლაც არის მიმოფანტული, დასავლეთის კონფერენციის პირველმა ფინალურმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომელიც ბალკანელის ბენეფისად იქცა – 34 ქულა, 21 მოხსნა და 14 შედეგიანი გადაცემა(!). ეს მისი მეექვსე სამმაგი დუბლია პლეი-ოფებში (სერიაში – 1:0).

მერე, მეტოქეს აღარ იკითხავთ? – მეფე ლებრონ ჯეიმსისა და ჩინებულად ათამაშებული ენტონი დევისის სამწყსო, რომელიც მას შემდეგ, რაც გაჭირვებით შეუერთდა ოქროს ბეჭდის მაძიებლებს, ისე აელვარდა, რომ თვით მოქმედი ჩემპიონი გოლდენ სტეიტი გაისტუმრა შვებულებაში – 4:2 და ნაგეთსთანაც ფავორიტად შერაცხეს.

თურმე, ექსპერტები და კალიფორნიელთა ქომაგები აჩქარებულან – ლეიკერსს ვერც დევისის 40-მა ქულამ და ვერც ჯეიმსის თითქმის სამმაგმა დუბლმა (26 ქულა, 12 მოხსნა და 9 პასი) უშველა. მეტიც – მესამე პერიოდში მასპინძლები 20 ქულითაც კი დაწინაურდნენ და ბოლო წუთებზე მოშვება კინაღამ ძვირად დაუჯდათ – 132:126.

მესამე პერიოდში გადაწყდა აღმოსავლეთის კონფერენციის პირველი ფინალის ბედი, რომელიც მაიამიმ გასვლაზე ფავორიტ ბოსტონთან ერთი ამოსუნთქვით ჩაირბინა – 45:25, რითაც პირველ ტაიმში 10-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა, ეს კი საბოლოო წარმატებისა – 123:116 და სერიაში ანგარიშის გახსნის – 1:0 წინაპირობა აღმოჩნდა. ჰითს ბატლერმა ულიდერა 35 ქულით, ნბა-ს ყველაზე ტიტულოვან კლუბ სელტიქსს კი 30 ქულით ტეიტუმმა. შეგახსენებთ, რომ საამაყო კარიერის ერთი ფურცელი თავის დროზე მეფე ლებრონმა სწორედ ფლორიდაში დაწერა. ასე რომ, არაა გამორიცხული, მას მთავარ ფინალში სწორედ ძველ სატახტოში მოუწიოს ჩასვლა.

# პირველად საქართველოში – სამუზეუმო პრემიები



**ეროვნულ მუზეუმში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სამუზეუმო პრემიები პირველად გასცა.**

საზეიმო ღონისძიებას მუზეუმების ხელმძღვანელები, თანამშრომლები, სამუზეუმო სფეროს წარმომადგენლები და მეცნიერები ესწრებოდნენ.

პრემიების დაწესების იდეის ავტორები არიან საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის გენერალური დირექტორი **გიორგი კალანდია**, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე **ნიკა ახალბედაშვილი** და გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი **ნინო ქიპაშვილი.** საქართველოს წამყვანი მუზეუმების ინიციატივით დაწესდა ხუთი სამუზეუმო პრემია: აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას, დავით არსენიშვილისა და აკაკი ჭანტურიას სახელობის.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია, საქართველოს მუზეუმების სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, გადაეცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ვახტანგ ჯაფარიძეს.**

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის პრემია საქართველოს სამუზეუმო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, საგანძურის მთავარ მცველს, **ელენე კავლელაშვილს** (გარდაცვალების შემდეგ).

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სახელობის პრემია გიორგი ჩიტაიას ღვაწლის სათანადოდ შესწავლისა და დაფასებისთვის გადაეცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **თამილა ცაგარეიშვილს.**

დავით არსენიშვილის სახელობის პრემია დავით არსენიშვილის ღვაწლის სათანადოდ წარმოჩენისათვის გადაეცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ნათელა ვაჩნაძეს.**

აკაკი ჭანტურიას სახელობის პრემია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებისა და უნიკალური სამუზეუმო კოლექციების შექმნისათვის გადაეცა ისტორიკოს **გივი ელიავას** (გარდაცვალების შემდეგ).

გარდა ამისა, მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ ის ადამიანები, რომლებმაც 2022-2023 წლებში ოჯახის კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატები საქართველოს მუზეუმებს საჩუქრად გადასცეს, რითაც მათ სამუზეუმო კოლექციების შევსებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს. მინისტრის მიერ მადლობის სიგელები გადაეცათ: კლარა მაჭარაშვილს – სხვიტორის აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის თანამშრომელსა და უხუცეს მუზეუმელს, რომელმაც 2022 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ხელოვნების სასახლეს უსახსოვრა მამის, 1937 წელს რეპრესირებული სოლომონ მაჭარაშვილის, შვეიცარიული, უნიკალური ოქროს (100 გ) საათი.

**თინა ჩუბინიძეს** – 86 წლის პედაგოგს, რომელმაც 2022 წლის 15 იანვარს ხელოვნების სასახლეს გადასცა ბაბუის, იორდანე ჩუბინიძის, ნაქონი ვერცხლის მოოქრული უნიკალური ქამარი, რომელიც მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ისტორიისათვის;

**ნუგზარ ალანიას,** რომელმაც ხელოვნების სასახლეს საჩუქრად გადასცა მამის, დამიანე ალანიას, უნიკალური არქივის ნაწილი: არაერთი ფოტო, გაზეთი თუ წიგნი; ტიციან ტაბიძის ხუთი ხელნაწერი, რომელთაგან ერთი ლექსი დღემდე გამოუქვეყნებელია და იეთიმ გურჯის 1921 წელს დაწერილი ლექსი „ავტოგრაფი“;

**სიმონ კოპაძეს** – მეცნიერსა და მკვლევარს, რომელმაც ხელოვნების სასახლეს გადასცა კონსტანტინე გამსახურდიას უძვირფასესი 57-გვერდიანი ხელნაწერი ცნობილი ტრილოგიიდან „დავით აღმაშენებელი“.

სამუზეუმო სფეროში კეთილსინდისიერი საქმიანობისთვის მადლობის სიგელები გადაეცათ ხელოვნების სასახლის ფონდების მთავარ მცველს, **ირინა მოისწრაფიშვილსა** და **გიორგი ჩიტაიას** ეთნოგრაფიული მუზეუმის გიდს, **ნინო მაჩაბერიძეს.**

## სანთელი

**საქართველოს მეგზეველთა საზოგადოება და ინსტიტუტი „საქგზამეცნიერება“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „საქგზამეცნიერების“ ქუთაისის ტერიტორიული საგზაო ლაბორატორიის დირექტორი**

# ნუგზარ გაბრიაძე

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს**

# რატომ დაჩაგრეს ამერიკელებმა „მართვე“?!



**ამერიკის საელჩომ ანსამბლ „მართვეს“ – 50 გავშვს შეერთებულ შტატებში გამგზავრებაზე პრობლემები შეუქმნა.** საელჩომ ჯგუფს სააპლიკაციო განაცხადების ერთობლივ განხილვაზე უარი უთხრა და ინდივიდუალური გასაუბრება შესთავაზა, თუმცა ამის შესაძლებლობა, განრიგის მიხედვით, მხოლოდ ნოემბერში აქვთ. ეს მაშინ, როდესაც კონცერტი ივლისში იგეგმება. ყველაფერი კი შეთანხმებული და ორგანიზებული იყო ამერიკული მოწვევით.

**„მართვეს“ არანაირი პრობლემა არ ჰქონია არც ვადებში, არც ამ ყველაფრისთვის დროულად მომზადებაში. დღესაც მზად ვართ, ხვალ რომ დაგვიბაროს საკონსულომ ვიზის მისაღებად გასაუბრებაზე ჩვენ შევალთ. მაგრამ ახლა ძალიან დაგვიანებულია, რადგან ივლისში გასტროლი უნდა იყოს და როცა გეუბნებიან, რომ ამ წლის ბოლოს, დეკემბერში უნდა შემოხვიდე, ეს არარეალურია. გული გვწყდება, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენ ამ ორ ფესტივალზე მომავალში მოვხვდებით“,** – აღნიშნა **მიშო ჯავახიშვილმა.**

# კელი დეგნანი: ვინც იცავს ჩვენს წესებს და რჩევებს, ჩვეულებრივ იღებენ ვიზას!



**ზოგჯერ ადამიანებს სურთ, იფიქრონ, რომ მათ განსაკუთრებულად უნდა მოექცნენ და არ არის საჭირო ყველა ნაბიჯის გავლა. ონლაინ არის ვიზის შესახებ ყველა ინფორმაცია და რჩევები, რომლებსაც ვაძლევთ, რათა დავეხმაროთ ადამიანებს ვიზის რაც შეიძლება სწრაფად მიღებაში,** – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა.

დეგნანის თქმით, თუ ადამიანები იცავენ ამ წესებს, ისინი ჩვეულებრივ იღებენ ვიზას. ელჩს ჟურნალისტებმა კითხვა დაუსვეს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებაზე, რომელმაც ამერიკის ვიზებთან დაკავშირებით საუბრისას აღნიშნა, რომ ანსამბლი „მართვე“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრებოდა, საქართველოში დატოვეს.

**„სამწუხაროდ, „იმედმა“ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა არასწორი ინფორმაციის გავრცელება. ფაქტობრივად, ჩვენ ყოველწლიურად ვიღებთ ათასობით ქართველს შეერთებულ შტატებში, მათ შორის კულტურული, მათ შორის მრავალი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, რაც შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის პარტნიორობის მნიშვნელოვანი ნაწილია. გასულ თვეში თბილისის სახელმწიფო საბალეტო დასის 30-კაციან ჯგუფს ვიზა მივეცით აშშ-ში გასამგზავრებლად. გასულ კვირას, ჩვენ ვიზები მივეცით ქართველ მოცეკვავეთა და მომღერალთა ჯგუფს, რომლებიც აპირებენ კონცერტის ჩატარებას ჩვენი კონგრესის ბიბლიოთეკაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. ზოგჯერ ადამიანებს სურთ, იფიქრონ, რომ მათ განსაკუთრებულად უნდა მოექცნენ და არ არის საჭირო ყველა საჭირო ნაბიჯის გავლა, მაგრამ ონლაინ არის ვიზის შესახებ ყველა ინფორმაცია და რჩევები, რომლებსაც ჩვენ ვაძლევთ, რათა დავეხმაროთ ადამიანებს ვიზის რაც შეიძლება სწრაფად მიღებაში. თუ ადამიანები იცავენ ამ წესებს და ამ რჩევებს, ისინი ჩვეულებრივ იღებენ ვიზას, თუ არის მისაღები. ეს მარტივი სიმართლეა, ეს არის ფაქტები“...**



# სახელმძღვანელოების სრული გაციფრულება უნივერსიტეტში

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებზე ექნებათ წვდომა. თსუ რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას ინიციატივით, თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის წარმომადგენლები სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების სრულად გაციფრულებაზე იმუშავებენ.**

აღნიშნულთან დაკავშირებით ჯაბა სამუშია თსუ ბიბლიოთეკების წარმომადგენლებს შეხვდა და ერთად იმსჯელეს იმ გამოწვევების შესახებ, რაც სახელმძღვანელოების გაციფრულების პროცესს შეიძლება თან ახლდეს. თსუ რექტორის ინფორმაციით, თსუ ბიბლიოთეკის ვებგვერდზე შეიქმნება სივრცე, სადაც სტუდენტები შეძლებენ მოიძიონ სასწავლო მასალებების ციფრული ვერსიები.

**„პორტალი იქნება ახალგაზრდებისთვის მოსახერხებელი, მარტივი ნავიგაციით, სადაც საგნების მიხედვით განთავსდება სახელმძღვანელოები, სილაბუსები, სტატიები“,** – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

საავტორო უფლებების გათვალისწინებით, ელექტრონული სახელმძღვანელოები აიტვირთება დახურულ სივრცეში, რომელზეც მხოლოდ თსუ სტუდენტებს ექნებათ წვდომა.

# ოლიმპიური აუზი ქუთაისში

**დასრულდა ქუთაისის ოლიმპიურ აუზის მშენებლობა და თანაც, ძალიან მალე. ტესტირებების დასრულების შემდეგ, გვექნება ღირსეული სივრცე, სადაც ბავშვები, მოზარდები, პროფესიონალი სპორტსმენები და ზოგადად, სპორტის მოყვარულები შეძლებენ თანამედროვე სტანდარტის პირობებში ვარჯიშს, როგორც აუზებზე, ისე ფიტნეს დარბაზში,** – განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ, ქუთაისში, გუშინ ახალი ოლიმპიური აუზის დათვალიერების შემდეგ.

ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის სამშენებლო სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეასრულა.

მინისტრის თქმით, თანამედროვე, ოლიმპიური სტანდარტის საცურაო აუზის სიგრძე 50 მეტრი, ხოლო სიგანე 25 მეტრია. აუზის კომპლექსში მოეწყო 600-მდე მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა, მცირე საბავშვო აუზი, სავარჯიშო დარბაზები, გასახდელები სპორტსმენებისა და მსაჯებისათვის, სივრცეები კვებისა და სპორტული ინვენტარის მაღაზიებისათვის. ქუთაისში ოლიმპიური აუზის მშენებლობა 2021 წლის აპრილში, აზიის განვითარების ბანკის 13.6 მილიონი ლარის ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო.



# ზურა გომელაურის „სიცოცხლის ხე“ „ღვინის მუზეუმში“

**ზურა გომელაურის შემოქმედება გამორჩეული და განსაკუთრებულია. ფერები, რომელიც ყველაფერს გავიწყებს და სიუჟეტები, საიდანაც მხოლოდ სიკეთე და ბედნიერება მოდის...**

**ამ ყველაფრის ნახვის საშუალება გექნებათ 20 მაისიდან 23 მაისის ჩათვლით „ღვინის მუზეუმში“.**

ზურა გომელაურის შემოქმედება 1988 წლიდან დღემდე, პერსონალური გამოფენების სახით, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი ნამუშევრები გამოირჩევა უნიკალური სტილისა და შესრულების ტექნიკით.



**ეროვნული მითოლოგიური სიმბოლოები და ორნამენტები, ქართული ზღაპრის გმირები, დამთვალიერებელს უსასრულოდ მშვიდ, ფერად და საოცრად კეთილ სამყაროში ამოგზაურებენ. 20 მაისს დაგეგმილი გამოფენის სახელწოდება – „სიცოცხლის ხე“, მხატვრის ერთ-ერთი გამორჩეული ტილოდან მოდის, რაც მის შემოქმედებას ერთგვარ ლაიტმოტივად თან სდევს.**

**ამ სახელწოდების ნამუშევარი 2022 წელს შეიქმნა კომპანია PSP-სთვის. ზურა გომელაურის ნამუშევრის მიხედვით კამპანია მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა PSP-ს ქსელში წარმოდგენილი ნამუშევრის ვიზუალითა და მანათობელი ინსტალაციებით, რამაც საზოგადოების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.**

**საღამოს, ცნობილი მხატვრის ერთგული მეგობარი, ნიკოლოზ წულუკიძე წარუძღვება და მოსულ სტუმრებს ზურას შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ ბევრ უცნობ და საინტერესო დეტალებს გააცნობს. გამოფენაზე, მხატვარი 30-ზე მეტ ახალ ნამუშევარს წარადგენს, ასევე წარმოდგენილი იქნება „სიცოცხლის ხის“ ორიგინალი ნამუშევარი და მის მიხედვით შექმნილი მანათობელი ინსტალაციები.**



# პაპარაცებმა ჰერცოგი და ჰერცოგინია კინაღამ შეიწირეს

**პაპარაცების მხრიდან დევნის გამო, პრინცი ჰარი და მეგან მარკლი კინაღამ ავარიაში მოჰყვნენ.**

ინციდენტი მოხდა მას შემდეგ, რაც მათ სამშაბათს ღამით დატოვეს ფონდი ქალებისთვის, სადაც მეგან მარკლი დააჯილდოვეს.

**„წუხელ, სასექსის ჰერცოგი და ჰერცოგინია და ქალბატონი რაგლანდი (მეგან მარკლის დედა) ავტომობილით თითქმის კატასტროფული დევნის სამიზნე გახდნენ“,** – განაცხადა წყვილის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. **„ეს დევნა, რომელიც ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, მოიცავდა რამდენიმე შეჯახებას, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვა მძღოლები გზაზე, ფეხით მოსიარულეები და ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის ორი ოფიცერი“,** – აღნიშნა მან. წყვილის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დევნა შესაძლოა საბედისწერო ყოფილიყო. **„მიუხედავად იმისა, რომ საზოგადო მოღვაწეობას თან ახლავს საზოგადოების ინტერესის დონე, ეს არასდროს უნდა მოხდეს ვინმეს უსაფრთხოების ფასად“,** – ხაზგასმით აღნიშნა მან.

# „ტიტანიკის“ პირველი სრული ზომის ციფრული გამოსახულება

**მეცნიერებმა ღრმაწყლოვანი ტოპოგრაფიული გადაღების მეშვეობით ჩაძირული „ტიტანიკის“ პირველი სრული ზომის ციფრული გამოსახულება შექმნეს.**

ამ ტექნოლოგიამ მეცნიერებს მთლიანი ხომალდის სამგანზომილებიანი რუკის მიღების საშუალება მისცა. „ტიტანიკის“ ნარჩენების სკანირების ოპერაცია 2022 წლის ზაფხულში, კომპანიებმა Magellan Ltd და Atlantic Productions-მა განახორციელეს. ჩაძირვისას გემი ორ ნაწილად გაიყო. ფსკერზე მათ შორის 800-მეტრიანი მანძილია. წყალქვეშა აპარატებმა, რომლებსაც დისტანციურად მართავდნენ, წყალქვეშ 200-ზე მეტი საათი გაატარეს – ისინი ჩაძირული ხომალდის ნარჩენებს იკვლევდნენ და ფოტოებს უღებდნენ. მიღებული 70 ათასი სურათიდან კი ზუსტი სამგანზომილებიანი რეკონსტრუქცია მიიღეს.

„ტიტანიკი“ ატლანტის ოკეანის ფსკერზე, 3 800 მეტრის სიღრმეზე დევს. ის 1985 წელს აღმოაჩინეს და მას შემდეგ სხვადასხვა მეთოდით გამოიკვლიეს. მაგრამ ხომალდი იმდენად დიდია და ისეთ სიღრმეზეა, რომ კამერებს მხოლოდ მისი გარკვეული ნაწილების ჩვენება შეუძლია. მთლიანად ჩაძირული ხომალდის კორპუსი ჯერ არავის უნახავს.



# მართა სტიუარტი - ასაკოვანთა შთაგონების წყარო




**81 წლის ამერიკელი ტელეწამყვანი და კულინარი მართა სტიუარტი ყველაზე ასაკოვანი მოდელი გახდა ისტორიაში, ვინც Sports Illustrated-ის ყოველწლიური გამოცემის გარეკანისთვის საცურაო კოსტიუმით გადაიღეს.**

სტიუარტი ერთ-ერთი გახდა იმ ოთხი მოდელიდან, რომლებიც ჟურნალის 2023 წლის გარეკანისთვის აირჩიეს. მათ შორის არიან: მსახიობი მეგან ფოქსი, მოდელი ბრუქს ნადერი და ტრანსგენდერი მომღერალი კიმ პეტრასი. ნომრის მიზანია ძლიერი ქალების წარმოჩენა, რომლებიც „ცხოვრობენ სამყაროში, სადაც ვერ გრძნობენ ვერც გარე და ვერც შინაგან შეზღუდვებს“.

**„ჩემი დევიზი ყოველთვის იყო „როცა იცვლები, იცვლები“, ამიტომ ვიფიქრე, რატომაც არა? იმედი მაქვს, ეს გარეკანი შთაგონების წყარო გახდება თქვენთვის, რომ საკუთარ თავს მოუწყოთ გამოწვევა და რაღაც ახალი სცადოთ, მიუხედავად იმისა თუ ცხოვრების რა ეტაპზე იმყოფებით“,** – განაცხადა სტიუარტმა. სტიუარტი პოპულარული 1980-იან წლებში გახდა, როდესაც კულინარული წიგნი დაწერა. ამის შემდეგ მან ამავე თემაზე კიდევ არაერთი წიგნი გამოუშვა, დაიწყო ჟურნალების გამოცემა და საკუთარი ტელეგადაცემის წამყვანი იყო.

# ჯიუტი პროფესორის მსოფლიო რეკორდი



**ამერიკელმა პროფესორმა ჯო დიტურიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა წყალქვეშ დეჰერმეტიზაციის გარეშე გატარებული დროის ხანგრძლივობაში.**

55 წლის დიტური ყოფილი მყვინთავია და ბიოსამედიცინო ინჟინერიის ექსპერტი. მან ფლორიდაში, ერთ-ერთი ლაგუნის ფსკერზე 9 მეტრის სიღრმეზე მოწყობილ სივრცეში 74 დღე გაატარა. თუმცა, ექსპერიმენტის შეწყვეტას არ გეგმავს და აპირებს, რომ წყალქვეშ სულ 100 დღე გაატაროს. წყალქვეშ ჩაკეტილი პროფესორი სწავლობს თუ რა გავლენა აქვს ექსტრემალური წნევის ხანგრძლივ მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე. მან აღნიშნა, რომ ყველაზე ძალიან მზე ენატრება. აქამდე ამ კატეგორიაში რეკორდი 73 დღეს შეადგენდა. ის 2014 წელს, ორმა პროფესორმა ამავე სივრცეში დაამყარეს. წყალქვეშა ნავებისგან განსხვავებით, ფლორიდაში მოწყობილი სივრცე მზარდ წყალქვეშა წნევასთან ადაპტირებისთვის ტექნოლოგიებს არ იყენებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 22 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5310; ევრო - 2.7358;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1460;
100 რუბლი - 3.1347; თურქული ლირა - 0.1283;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4910;
1000 სომხური დრამი - 6.5652

**ამინდი 19 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე +26 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე | +12, | დღე +25 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge